გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№43 (1733) 18 — 24 დეკემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ორი არჩევნები, აქციები, საერთაშორისო პარტნიორების მუქარა, ფოიერვერკები და სპირიტუალური პერფორმანსები რუსთაველზე

2024 წლის პოლიტ-ეკონომიკური მიმოხილვა ამირან სალუქვაძისგან

არ წავიდეთ წინ, წარსულისკენ!

33 წლის წინ, თბილისში ომი დაიწყო – სისხლიანი ქრონიკა, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს!

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ნაპოვნია ახალგაზრდა ქალის გვამი

„დანა სულ დამაქვს, ამოვიღე და პირდაპირ ქვემოდან დავარტყი, დაცინვა ვერ ვაპატიე" – მკვლელის აღიარება

რამდენიმე უცნობი სურათი ანუ ეპიზოდი მიხეილ ყაველაშვილის ცხოვრებიდან

გზა სპორტიდან დიდ პოლიტიკამდე

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვსურს გამოვეხმაუროთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, თითქოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პოლიციას მიენიჭა უფლებამოსილება პირი დააკავოს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, კერძოდ, მხოლოდ ზოგადი ეჭვის საფუძველზე, რომ მან მომავალში შეიძლება ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით დადგინდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს უკვე ჩადენილი აქვს სამართალდარღვევა და, ამასთან, არსებობს სარწმუნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის კვლავ ჩაიდენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, პოლიციას აქვს ამ პირის დაკავების უფლებამოსილება სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის აღკვეთისა და მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული ცვლილებები შესაბამისობაშია ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან და ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2018 წლის გადაწყვეტილებაში „S., V. AND A. V. DENMARK“ (applications nos. 35553/12, 36678/12 and 36711/12) მითითებულია, რომ პრევენციული დაკავება შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, რომ არ შეიძლება კონვენციის მე-5 მუხლი განიმარტოს იმგვარად, რომ პოლიციისთვის შეუძლებელი გახდეს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – დაიცვას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი. პოლიციამ გარკვეული ფორმით უნდა გამოიყენოს ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების დისკრეციული უფლებამოსილება.

სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად პოლიციას ხელი მიუწვდება იმგვარ ინფორმაციაზე და ოპერატიულ მასალაზე, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია. სწორედ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება იცავს პირს დაუსაბუთებელი და თვითნებური დაკავებისგან. პრევენციულ საპოლიციო ღონისძიებებს, მათ შორის, სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, პრევენციულ დაკავებას იცნობს არაერთი ევროპული ქვეყანა, მათ შორის, არის დანიის, ჩეხეთისა და გერმანიის სამართლებრივი სისტემები.

აღსანიშნავია, რომ არცერთი პრევენციული ღონისძიება პოლიციას არ აძლევს ზოგად, აბსტრაქტულ საფრთხეზე აპელირებით რაიმე ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობას, მით უფრო იმ დასაბუთებით, რომ რომელიმე პირი ან პირთა ჯგუფი მიდრეკილია ჩაიდინოს დანაშაული ან სხვა ძალადობრივი ქმედება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენცია გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირის მიერ ჩადენილია სამართალდარღვევა და ამასთან არსებობს სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის რეალური საფრთხე. სამართალდარღვევის ჩადენის რეალური საფრთხის თავიდან აცილება გულისხმობს, რომ არსებობს მაღალი ალბათობა კონკრეტული სამართალდარღვევა განმეორებით იქნება ჩადენილი კონკრეტული პირების მიერ. საფრთხის რეალურობა უნდა დადასტურდეს კონკრეტული ფაქტებით ან ინფორმაციით, რაც წარდგენილი უნდა იქნას სასამართლოს წინაშე. აქვე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ დაკავებულ პირს მისი დაკავების კანონიერების შემოწმების მიზნით აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს და დაკავების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია.

სავარაუდო უბედური შემთხვევა გუდაურში – შსს-მ გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გუდაურში მომხდარ სავარაუდოდ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გარდაიცვალა 12 პირი, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყეს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

გუდაურში მდებარე ინდური რესტორნის მეორე სართულზე მოწყობილ საძინებელ სივრცეში, ნანახი იქნა, სავარაუდოდ, ამავე ობიექტში დასაქმებული 12 ადამიანის ცხედარი.

პირველადი დათვალიერებით ცხედრებს ძალადობის კვალი არ აღენიშნებათ.

ასევე, გამოძიების პირველადი ინფორმაციით, საძინებელი ოთახების სიახლოვეს, შიდა, დახურულ სივრცეში განთავსებული იყო გენერატორი, რომელიც გუშინ, სავარაუდოდ მას შემდეგ ჩართეს, რაც ობიექტს დენის მიწოდება შეუწყდა.

გარდაცვლილი 12 პირიდან, 11 – უცხო ქვეყნის, ხოლო ერთი – საქართველოს მოქალაქეა.

ფაქტთან დაკავშირებით აქტიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, ადგილზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები, მიმდინარეობს საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირების გამოკითხვები. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ასევე გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვმარტოთ, თუ რას ითვალისწინებს „პოლიციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი.

როგორც მოგეხსენებათ, პოლიცია შედგება სხვადასხვა დანაყოფისგან, მათ შორის გასამხედროებული დანაყოფებისგან, მათ აქვთ განსხვავებული ფუნქციები, რაც ცხადია, სხვადასხვა დანაყოფში მიღების განსხვავებულ წესსა და სპეციფიკას მოითხოვს.

განვმარტავთ, რომ პოლიციის გასამხედროებულ დანაყოფებში, სადაც სამსახურის გავლის განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს, მსახურობენ სამხედრო წოდების მქონე პირები. ამასთან, სამხედრო მოსამსახურე მიიღება კონკურსის გარეშე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან, სამხედრო სამსახური იარსებებს მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროში, 2025 წლის 1 იანვრიდან, სამხედრო წოდებით ვერ დაინიშნებიან, რაც განაპირობებს გასამხედროებული დანაყოფების საპოლიციო წესებზე გადასვლას და საპოლიციო კონკურსზე დაქვემდებარებას.

შესაბამისად, „პოლიციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს პოლიციაში სამსახურის მიღების გარკვეული წესების მოდიფიცირებასა და იმ პოზიციებზე, რომელიც გასამხედროებულ რეჟიმს უკავშირდება, მიღების განსხვავებული წესის დადგენას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღება/დანიშვნა, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს დადგენილი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას. კერძოდ, სამინისტროს მოსამსახურის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე მიიღება/დაინიშნება 18 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების შესაბამისად შეუძლია შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები.

ყველა ეს გარემოება შემოწმდება სამსახურში მიღების პროცესში. კანდიდატი, რომელიც არ აკმაყოფილებს შესაბამისი პოზიციისთვის დადგენილ განათლების, ფიზიკური მომზადების, ჯანმრთელობის მდგომარეობის მოთხოვნებს, სამსახურში არ მიიღება.

დამატებით განვმარტავთ, რომ აღნიშნული ცვლილება არ შეეხება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, გამომძიებლებს, მართლწესრიგის ოფიცრებსა და ადმინისტრაციული ფუნქციების შემსრულებელ მოსამსახურეებს.

არ წავიდეთ წინ, წარსულისკენ!

ნინო დოლიძე

33 წლის წინ, თბილისში ომი დაიწყო – სისხლიანი ქრონიკა, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს!

საბაბ-მიზეზის ძებნას აზრი არ აქვს, რადგან ისედაც თვალნათელია, რომ საზოგადოება პოლარიზებულია. მართალია, პოლარიზაცია ჯერ იმ დონემდე არ მისულა, რომ წინ, წარსულში, ესე იგი, 90-იან წლებში დავბრუნდეთ და საქართველოს მოქალაქეებმა ერთმანეთს საქმე ისევ იარაღით გავურჩიოთ, მაგრამ როგორც იტყვიან, ვითარება „წკიპზეა“ და თუ ყველა, თითოეული ჩვენგანი გონიერებას არ გამოვიჩენთ, შესაძლოა, ისევ ფატალურ შედეგამდე მივიდეთ.

ეს შედეგი კი ნანახი გვაქვს, შედეგი, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში „თბილისის ომის“ სახელითაა შესული... რა გახდა თბილისის ომის საბაბი? – მარტივად რომ ვთქვათ, ალბათ, პროვოკაცია. პროვოკაციაზე დღეს ორივე მხარე საუბრობს. ასე, მაგალითად, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 13 დეკემბერს, საგანგებო ბრიფინგზე თქვა, რომ მეორე დღეს ანუ 14-ში, პარლამენტის წინ ნაძვის ხის ანთება დედაქალაქის ხელისუფლების მხრიდან პროვოკაცია იქნებოდა. საბოლოოდ, ნაძვის ხე საზეიმო ვითარებაში არ აინთო და როგორც ასევე, საგანგებო ბრიფინგზე ქალაქის ხელმძღვანელობამ განაცხადა, საზეიმო ღონისძიების გადადების მიზეზი შესაძლო პროვოკაცია გახდა.

ზოგადად, პრობლემის ნაძვის ხის საზეიმო ვითარებაში ანთება-არანთებაზე დაყვანა, ალბათ, არ შეიძლება, რადგან იმის სათავე, რაც ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ხდება, სხვაგან უნდა ვეძებოთ, თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას პოლიტიკოსების ნდობა აღარ აქვს და ისიც აღარაა საკითხავი, ამ პოლიტიკოსის პოლიტიკური კუთვნილება თუ გემოვნება როგორია. ამის მიუხედავად, ადამიანებმა, რომლებიც თვლიან, რომ მათი პროფესია პოლიტიკოსობაა, ცოტა მეტი გამჭრიახობა უნდა გამოიჩინონ და, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთი არ დაასხან, თორემ წინ, 90-იანებისკენ ისე გავექანებით, რომ ვეღარავინ გაგვაჩერებს. ჩვენი – ჩემი, თქვენი და ამ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მიზანი კი სწორედ ის უნდა იყოს, რომ სისხლიანი შეცდომა, რომელიც ერთხელ დავუშვით, ხელმეორედ აღარ დავუშვათ!

იმის ერთ-ერთი საუკეთესო გზა, რომ შეცდომა აღარ გავიმეოროთ, ამ შეცდომის დეტალების ცოდნაა. არ იფიქროთ, რომ „ვერსია“ პარალელებს ავლებს, არამც და არამც, უბრალოდ, ცდილობს, საზოგადოებას ყველაფერი ის, რაც 33 წლის წინ, 1991 წლის 22 დეკემბერს, თბილისში დაიწყო, კიდევ ერთხელ გაახსენოს და ამ გახსენებით უთხრას – არ დავუშვათ წინ, 90-იანებში დაბრუნება!

* * *

1991 წლის 22 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე ხელისუფლებისა და მისი მოწინააღმდეგეების მხარდამჭერი შეიარაღებული ფორმირებების დაპირისპირებით, „თბილისის ომი“ დაიწყო, რომელმაც 15 დღე გასტანა და, ოფიციალური მონაცემებით, 113 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

შეიარაღებული კონფლიქტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის, 1991 წლის 22 დეკემბერს, დილის რვის ნახევრზე დაიწყო, თუმცა ხელისუფლება და ოპოზიცია შეიარაღებული დაპირისპირებისკენ თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში მიდიოდნენ.

ვითარება პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას გადადგომისა და პრეზიდენტის მიერ „გეკაჩეპე“-ს პუტჩის დროს, ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობის გაუქმების შემდეგ დაიძაბა. კერძოდ, 1991 წლის 2 სექტემბერს, პოლიციამ, იარაღის გამოყენებით, რუსთაველის ძეგლთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) საინფორმაციო მიტინგი დაარბია.

თბლისში, პრაქტიკულად, პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, ყოფილ „იმელის“ შენობასთან, შიმშილობა გამოაცხადა.

10 სექტემბერს, ბარიკადები აღიმართა რუსთაველის პროსპექტზე. პარალელურად, ჟურნალისტები, ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია და სხვები საინფორმაციო მიტინგებს მართავდნენ საქტელერადიო დეპარტამენტის შენობასა და ედპ-ის შტაბ-ბინასთან.

4-5 სექტემბერს, ხელისუფლებამ ძალით გაწმინდა რუსთაველის პროსპექტი და რამდენიმე ადამიანი დაიჭირა კიდეც.

გვარდიის დიდი ნაწილი, დაახლოებით, 15 ათასი ადამიანი, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, ჯერ რკონის ხეობაში, შემდეგ კი თბილისის ზღვის მახლობლად დაბანაკდა.

1991 წლის 5 დეკემბერს, რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ხელმძღვანელთა მიერ, ე.წ. ბელოვეჟის ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად, საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა.

ამ მოვლენამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია.

19 დეკემბერს გაიმართა ოპოზიციის მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე, ხელისუფლების მომხრეების კი – მთავრობის სასახლესთან.

ოპოზიციის მომხრეები მთავრობის სასახლისკენ გაემართნენ. ეროვნული თანხმობის ორმხრივი ლოზუნგების მიუხედავად, შეთანხმება მაინც არ მოხდა. დაძაბულობამ დედაქალაქში კულმინაციას მიაღწია.

ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომასა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვდა. ხელისუფლება მომხრეებს მთავრობის სასახლესთან

დასასრული მე-4 გვერდზე

არ წავიდეთ წინ, წარსულისკენ!

მე-3 გვერდიდან

შეკრებისკენ მოუწიოდებდა, ოპოზიციას კი დამორჩილებას და განიარაღებას სთხოვდა... 21 დეკემბერს, პირველი სისხლიანი შეტაკება მოხდა, რასაც თბილისში გვარდიის დაუმორჩილებელი ნაწილისა და „მხედრიონის“ შემოსვლა მოჰყვა.

თბილისის ცენტრი ომის წინახაზად იქცა.

ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მოლაპარაკება 22 დეკემბრის შემდეგაც სცადეს, თუმცა ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ოპოზიცია ზვიად გამსახურდიასგან ჯერ თბილისის დატოვებას და ბათუმში წასვლას, შემდეგ კი გადადგომას ითხოვდა. მთავრობის სასახლის დატოვებამდე პოზიცია არც პრეზიდენტს შეუცვლია.

„რაც არ უნდა დაირქვან მათ, გინდ დემოკრატიული ოპოზიცია, გინდ ანგელოზების ფრთებგამობმული ოპოზიცია, ყველამ იცის, რომ ისინი მკვლელები, მოღალატეები და გამყიდველები არიან“, – განაცხადა მაშინ ზვიად გამსახურდიამ.

დაპირისპირებულმა მხარეებმა პოზიციების შეჯერება ვერც მოგვიანებით შეძლეს და ოპოზიციამ მთავრობის სასახლის ქვედა სართულზე, პრეზიდენტის მომხრეთა ბლოკირება შეძლო. მთავრობის ცდა, ჩაეხშო ამბოხება, მარცხით დამთავრდა.

ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა).

1992 წლის 6 იანვარს, გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა ალყაშემორტყმული შენობიდან გააღწიეს და აზერბაიჯანში გაიქცნენ, თუმცა იქ მათ თავშესაფარი ვერ მიიღეს.

სომხეთმა გამსახურდია მცირე ხნით მიიღო და უარი განაცხადა მის ექსტრადიციაზე საქართველოში.

საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, სომხეთის მთავრობამ გამსახურდიას საშუალება მისცა, ჩეჩნეთში გაქცეულიყო, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი მისცა.

მოგვიანებით გაჩნდა მტკიცებები (დაუზუსტებელი), რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას საბჭოთა ჯარები უწყობდნენ ხელს.

1992 წლის 15 დეკემბერს, რუსულმა გაზეთმა – „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, გამოაქვეყნა წერილი, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ ვიცე-ხელმძღვანელს, გენერალ-პოლოვნიკ სუფიან ბეპაევს გაგზავნილი ჰყავდა ქვედანაყოფი სამხედრო ოპოზიციის დასახმარებლად. მათ ჩაურევლად, გაზეთის მტკიცებით, „გამსახურდიას მომხრეების გამარჯვება გარანტირებული იქნებოდა“.

გაზეთი, ასევე, ამტკიცებდა, რომ ოპოზიციას 28 დეკემბერს, სატელევიზიო ანძის აღებაშიც სპეცნაწილი დაეხმარა.

მთავრობა დროებით შეცვალა სამხედრო საბჭომ. მისი ერთ-ერთი პირველი განკარგულება გამსახურდიასთვის პრეზიდენტის წოდების ფორმალური ჩამორთმევა იყო. სამხედრო საბჭომ მოგვიანებით თავი „სახელმწიფო საბჭოდ“ გამოაცხადა და 1992 წლის მარტში, ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძე მოიწვია.

ძალაუფლების შეცვლა განხორციელდა, როგორც Fait Accompli (დასრულებული ფაქტი), რამე ფორმალური რეფერენდუმის, ან არჩევნების გარეშე. შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, როგორც „დე ფაქტო“ პრეზიდენტი, სანამ 1992 წლის შემოდგომაზე არ ჩატარდა არჩევნები, სადაც ის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

სამხედრო გადატრიალების დღეებში, 1991 წლის 25 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე-იურედ სცნო კიდევ ოცმა სახელმწიფომ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა (რომელმაც დე-ფაქტოდ საქართველოს სუვერენიტეტი სცნო 1991 წლის 9 აპრილსვე).

სამხედრო გადატრიალების დღეებში და მის შემდეგაც, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, სისტემატურად მიმდინარეობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა საპროტესტო, მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები.

არსებობს გადაუმოწმებელი მტკიცებები ზოგიერთ მომიტინგის წამებისა და დახვრეტის შესახებ.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ორგანიზაციამ – „მხედრიონი“ და გვარდიამ წამოიწყეს გამსახურდიას მომხრე რეგიონების დარბევა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამან კიდევ უფრო მწვავე გახადა დასავლეთ საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც თანდათანობით შეიარაღებულ წინააღმდეგობად გადაიქცა და შეამზადა გამსახურდიას დაბრუნება საქართველოში.

1993 წლის 24 სექტემბერს, ზვიად გამსახურდია საქართველოში დაბრუნდა (თვითმფრინავით ჩაფრინდა სენაკში, საიდანაც ჩავიდა ზუგდიდში). ზუგდიდში მან „დევნილი მთავრობა“ აღადგინა.

მისი განცხადებით, განაგრძობდა „მშვიდობიან წინააღმდეგობას არალეგალური სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ“ და კონცენტრაციას ახდენდა ანტი-შევარდნაძის კოალიციის შექმნაზე, რომელიც სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონების მოსახლეობის მხარდაჭერას ეყრდნობოდა.

1993 წლის ოქტომბრის ბოლოს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი რამდენიმე მხარდამჭერი იძულებულნი გახდნენ, თავი სამეგრელოს მთიანი ნაწილისათვის შეეფარებინათ.

1993 წლის 31დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტი გარდაცვლილი იპოვეს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში (ამ ფაქტზე 2004 წლიდან მიმდინარეობდა გამოძიება – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N-174 შექმნილი სახელმწიფო კომისიისა და პროკურატურის მიერ).

1994 წლის თებერვალში, ზვიად გამსახურდია გადაასვენეს გროზნოში. მისი დაღუპვის ზუსტი გარემოებები უცნობია.

ბრიტანული პრესის ცნობით, ცხედარი იპოვეს ერთადერთი ტყვიის ჭრილობით თავში. არსებობს სიკვდილის ახსნის რამდენიმე ვერსია, თუმცა მათი სიზუსტის დადგენა ვერ ხერხდება.

2004 წლის იანვარში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, მიღებული იქნა რამდენიმე აქტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ზოგადად, მისი ხელისუფლების რეაბილიტაციისათვის. შეწყდა გამსახურდიასა და მისი მომხრეების მიმართ, 1992 წლის 4 იანვარს აღძრული სისხლის სამართლის საქმე #7492801 და სისხლის სამართლებრივი დევნა.

1991-1992 წლის მოვლენები დაგმო საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით, რომელშიც ნათქვამია:

„საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესაბამისად, გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.

დაიგმოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება“.

რამდენიმე უცნობი სურათი ანუ ეპიზოდი მიხეილ ყაველაშვილის ცხოვრებიდან

გზა სპორტიდან დიდ პოლიტიკამდე

ნინო დოლიძე

ზოგისთვის ის ე.წ. პრეზიდენტია, ზოგისთვის – ლეგიტიმური. ასეა თუ ისე, ისიც ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტისტორიაში პირველად მოხდა, როცა საპრეზიდენტო (თუნდაც, არაპირდაპირი წესით) არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა. მოკლედ, მიხეილ ყაველაშვილი 200-ზე მეტმა ხმოსანმა პრეზიდენტად აირჩია, თუმცა თავისი უფლება-მოსილების შესრულებას რომ შეუდგეს, ინაუგურაციაა საჭირო, ესე იგი, 29 დეკემბრამდე, ქვეყნის მთავარსარდალი ისევ სალომე ზურაბიშვილია. რა იქნება 29-ის მერე? – იქიდან გამომდინარე, რომ პროცესები ელვისებურად ვითარდება, ამის პროგნოზირება რთულია. ამიტომ, „ვერსია“, ქართულ ინტერნეტმედიაში გავრცელებულ მასალებზე დაყრდნობით, მიხეილ ყაველაშვილის ერთგვარ დოსიეს ანუ პორტრეტს გთავაზობთ.

* * *

ბოლო წლებამდე ანუ სანამ აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთვებოდა, მიხეილ ყაველაშვილი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. პოლიტიკაში კი 2016 წელს ჩაერთო, როცა „ოცნების“ სიით, პარლამენტის წევრი გახდა.

მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც 1971 წლის 22 ივლისს დაიბადა, 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ერთი წლის შემდეგ კი, 1990 წლიდან, მისი წარმატებული სპორტული კარიერა დაიწყო და საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსმელი გახდა.

53 წლის ყაველაშვილი, როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა და ეს ოცნება აუსრულდა:

1988-1995 წლებში იყო „დინამო თბილისის“ ფეხბურთელი; 1994-1995 წლებში – „ალანია-ვლადიკავკაზის“ ფეხბურთელი; 1995-1997 წლებში – „მანჩესტერ-სიტის“ ფეხბურთელი; 1997-1999 წლებში – „გრასჰოფერის“ ფეხბურთელი; 1999-2002 წლებში – „ციურიხის“ ფეხბურთელი; 2002-2003 წლებში – „ლუცერნის“ ფეხბურთელი; 2003-2004 წლებში – „სიონის“ ფეხბურთელი; 2004-2005 წლებში – „არაუს“ ფეხბურთელი; 2004 წელს – „ალანია-ვლადიკავკაზის“ ფეხბურთელი; 2005-2006 წლებში – „გაზელის“ ფეხბურთელი; 2016 წელს – „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საფეხბურთო ექსპერტი; 2009 წლიდან არის „FIFPro“-ს დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი. 2006 წელს, მოიპოვა შვეიცარიის სამწვრთნელო განათლების C კატეგორიის ლიცენზია; 2009 წლიდან არის საქართველოში მსოფლიოს ფეხბურთელთა გაერთიანების (FIFPro) დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი; ასევე, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საფეხბურთო ექსპერტი და არაერთი პუბლიკაციის ავტორი. 2014 წელს შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია „ტალანტების ფაბრიკა“; 2016 წელს მოიპოვა უეფა-ს მწვრთნელთა განათლების B კატეგორიის ლიცენზია.

პოლიტიკური საქმიანობა

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი (თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“. 2020 წლიდან იყო საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი (თბილისის ნაძალადევის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

განათლება

„საბჭოთა კავშირის პერიოდში ისეთი სისტემა იყო, რომ წარმოუდგენელი იყო, ფეხბურთელს უმაღლესი განათლება მიეღო. ეს პრაქტიკა არსებობს მთელ მსოფლიოში. უეფა-ს პრეზიდენტს, პლატინსაც არ აქვს უმაღლესი განათლება. მე ვფიქრობ, რომ ეს არის განზრახ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია ჩემს წინააღმდეგ. ამიტომ, ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებ სასამართლოში და ვეცდები ჩემი სიმართლის დამტკიცებას. დებულება ორი წლის წინ მიიღო ფეხბურთის ფედერაციამ და მოვითხოვ მის გაუქმებას“, – ამბობდა 2015 წელს მიხეილ ყაველაშვილი, როცა კენჭი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად უნდა ეყარა, მაგრამ ვერ იყარა, რადგან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარადგინა.

ოჯახი

მიხეილ ყაველაშვილის მეუღლეა თამარ ბაგრატიონი. წყვილს სამი შვილი ჰყავს – მარიამი, გურამი და ელისაბედი. თამარ ბაგრატიონი ცნობილი ქართველი მომღერლის, ლიზა ბაგრატიონის დაა.

თამარ ბაგრატიონს პირველი ქორწინებიდან ვაჟი, გიორგი ივანიშვილი ჰყავს, რომელიც 1989 წელს, თბილისში დაიბადა. გიორგი ივანიშვილი წარმატებული ფეხბურთელია.

* * *

„ის თავისი ბუნებით, თუ გნებავთ, ჰაბიტუსითაც, არის ქართველი კაცის საუკეთესო განსახიერება. შესანიშნავი მეუღლე და ოთხი შვილის მამა“, – ასე დაახასიათა ყაველაშვილი „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა, 27 ნოემბერს, როცა პარტიის პოლიტსაბჭოს 14 მამაკაცი და სამი ქალი წევრით გარშემორტყმულმა, პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა.

ბიძინა ივანიშვილმა ყაველაშვილის სხვა თვისებებიც ჩამოთვალა: პატიოსნება, სამართლიანობა, პატრიოტიზმი, პრინციპების ერთგულება და იქვე ხაზი კანდიდატის სპორტულ მიღწევებს, საფეხბურთო კარიერასაც გაუსვა. თქვა ისიც, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი რამდენიმე ქვეყნის (საქართველო, რუსეთი, შვეიცარია) საფეხბურთო ჩემპიონია.

* * *

მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს პარლამენტში 2016 წელს მოხვდა.

„ქართული ოცნების“ თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები იმ წლის აგვისტოში, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა დაასახელა და ყაველაშვილიც მათ შორის იყო. მაშინ ის სანზონის რაიონის დეპუტატი გახდა. 2019 წელს კი, ყაველაშვილი იმ ე.წ. ამბოხებულ დეპუტატთა შორის იყო, რომლებმაც პროპორციულ არჩევნებზე გადასვლის კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს.

2020 წელს, მიხეილ ყაველაშვილი, რომელსაც იმ დროს უკვე პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა, სოლიდარობას უცხადებს საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანს თორნიკე შენგელიას, რომელმაც კარიერის მოსკოვის „ცსკა“-ში გაგრძელება გადაწყვიტა – ამ ამბავს მაშინ საქართველოში უკმაყოფილება და პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის კრიტიკაც მოჰყვა.

ამავე წელს, ყაველაშვილი მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი ხდება, ისევ მაჟორიტარული სიით.

ორი წლის შემდეგ, 2022-ში, მიხეილ ყაველაშვილმა საზოგადოებას თავი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, შეგინებით დაამახსოვრა

დასასრული მე-6 გვერდზე

რამდენიმე უცნობი სურათი ანუ ეპიზოდი მიხეილ ყაველაშვილის ცხოვრებიდან

მე-5 გვერდიდან

– მან ოპოზიციის მისამართით შეიგინა, რისთვისაც მისთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვდნენ. მოგვიანებით დეპუტატი ირწმუნებოდა, კი არ შევიგინე, დავიგინეო.

ეს არ იყო პარლამენტში ყაველაშვილის ჩხუბისა და გინების ერთადერთი შემთხვევა. კიდევ ერთი ასეთი ინციდენტი ხალხის ძალის მიერ ე.წ. გამჭვირვალობის კანონპროექტის წარდგენას მოჰყვა, როცა სესიაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მიხეილ ყაველაშვილი და სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერი, გიორგი ვაშაძე. ვაშაძემ ყაველაშვილს მოღალატე უწოდა, ყაველაშვილმა კი, საპასუხოდ, შეაგინა.

საზოგადოებას პარლამენტში მომხდარი კიდევ ერთი ჩხუბი ახსოვს, როცა 2021 წელს, ერთმანეთს მიხეილ ყაველაშვილი და ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი, გუბაზ სანიკიძე დაუპირისპირდნენ.

2022 წლის აგვისტოში, მიხეილ ყაველაშვილი პარტია „ქართული ოცნების“ სამ წევრთან – სოზარ სუბართან, დიმიტრი ხუნდაძესა და გურამ მაჭარაშვილთან ერთად, აფუძნებს მოძრაობას – ხალხის ძალა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია.

ხალხის ძალა აცხადებდა, რომ მისი მიზანი „საზოგადოების სიმართლით აღჭურვა“ იყო და „ოცნება“ სწორედ იმიტომ დატოვეს, რომ „მათი მხრიდან გარკვეულ თემებზე საჯაროდ საუბარი მმართველ გუნდს უხერხულობას შეუქმნიდა“.

2022 წლიდან, ახალმა, „სიმართლის თქმისთვის“ „ოცნებიდან“ ფორმალურად გამოყოფილმა ჯგუფმა დაიწყო ლაპარაკი დასავლეთის დაკვეთით დაგეგმილ რევოლუციურ სცენარებზე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე, როგორც „სათაგურზე საქართველოსთვის“, მღელვარების გამოსაწვევად და რევოლუციის მოსაწყობად დასავლეთის შანტაჟზე, საქართველოში მეორე ფრონტის გასახსნელად.

ხალხის ძალა, 2024 წელს, პოლიტიკურ პარტიად დარეგისტრირებამდეც, იმთავითვე გამოირჩეოდა ანტიდასავლური რიტორიკითა და საქართველოში აშშ-ის მაშინდელ ელჩზე, კელი დეგნანზე სიტყვიერი თავდასხმებით.

სწორედ მიხეილ ყაველაშვილმა მისწერა კელი დეგნანს წერილი: „საქართველოს ომში ჩართვის ნარატივი არა რუსეთის უშიშროების ფედერალური (ეფესბე) სამსახურიდან, არამედ აშშ-ის საელჩოსგან დაფინანსებული და მხარდაჭერილი ადამიანებისგან ისმისო“.

2023 წელს, სწორედ ხალხის ძალის ინიცირებული იყო „აგენტების კანონი“, რომელსაც ქვეყანაში მრავალათასიანი პროტესტი მოჰყვა. ეს კანონი პარლამენტმა ჯერ პირველი მოსმენით მიიღო, შემდეგ პროტესტის ფონზე უკან გაიწვია, თუმცა ერთი წლის შემდეგ, 2024 წლის მაისში, კანონი, პრაქტიკულად, უცვლელად, მხოლოდ სიტყვა „აგენტის“ ჩანაცვლებით, ისევ დაბრუნდა საკანონმდებლო ორგანოში და „ოცნებამ“ მაინც მიიღო.

მიხეილ ყაველაშვილი ამ კანონის მხურვალე მხარდამჭერი და ხელმომწერია.

მან, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, „უსამშობლო ხალხი“ უწოდა ოპოზიციას, ვინც ამ კანონპროექტებს აკრიტიკებდა და თქვა, რომ „მისი თვითმიზანი არაა ევროკავშირი“.

ყაველაშვილი მაშინ აცხადებდა, რომ „ხალხის ძალა“ ყოველთვის ჩასაფრებული იქნებოდა, რათა „ევროკავშირმა ისეთ დათმობებზე წასვლა არ აიძულოს ხელისუფლებას, რაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს დააზიანებსო“.

ცნობილი ფრაზები:

ბიძინა ივანიშვილზე: „ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ მე ამაყი ვარ და ბედნიერი ვარ, ასეთ რთულ გამოწვეულ ეპოქაში, ჩვენი ქვეყნის დაცვა მიწევს ამ ადამიანთან ერთად, დიდი მადლობა იმისთვის, რომ ეს ნდობა მომანიჭა“.

ოპოზიციასა და გამჭვირვალობის კანონზე: „რუსულს რატომ ეძახიან, იცი? იმიტომ, რომ ქართული არ იციან, უსამშობლო ხალხი... ქართველი ერი და ქართველი ერის უკვდავებაა ჩემი თვითმიზანი, საქართველოს მარადიულობაა. ჩემთვის საშუალებაა ევროკავშირი, რომ რაღაცებს ვეზიაროთ... რისიც მჯეროდა, ღირებულებები, ფასეულობები, სადაც ჩვენი იდენტობით, კულტურით უნდა შევიდეთ. ის კი არა, აგერ რომ მეუბნება, ცალი ფეხით უნდა იდგე, თუ გეტყვიანო და მაგით უნდა შეხვიდე ევროკავშირშიო. ეგ განსხვავებაა“.

ენათმეცნიერ მზექალა შანიძისა და ფეხბურთელ შოთა არველაძის შეფასებებზე გამჭვირვალობის კანონზე: „აქ დაასახელეს კლუბები, ზოგიერთი საზოგადო მოღვაწეც ამჩატდა და უკვე შეფასებებიც გააკეთა... კიდევ ბევრი ამჩატდა. კი, კი, ამჩატდა, სამწუხაროდ“.

ევროპაზე: „თუ ისეთი ცხოვრება გინდათ, რომ ვიღაცის მითითებით ვიყოთ და ევროპა რასაც გვეტყვის, ის, აპრიორი, სამართლიანი და ჭეშმარიტებაა, არ მინდა ასეთი ევროპა“.

ევროკავშირზე: „ევროკავშირი ჩვენი თვითმიზანი კი არ არის, ევროკავშირი მე იმიტომ მინდა, რომ ეს სამართლიანობა იყოს დაცული. მე ვერავინ მიმითითებდეს, რომ ანტისახელმწიფოებრივი და ანტიკანონიერი ქმედება ჩავიდინო იმიტომ, რომ თუ ამას გავაკეთებ, მე ევროკავშირის წევრი ვერ გავხდები“.

წერილი ამერიკის ყოფილ ელჩს, კელი დეგნანს: „ნარატივი იმის შესახებ, რომ ამერიკას საქართველოს ომში ჩართვა უნდა, არა ეფესბე-ს სახელმძღვანელოებში, არამედ, თქვენგან დაფინანსებული, თუ თქვენთან აფილირებული ადამიანების განცხადებებსა და მათგან თქვენ არგამიჯვნაში უნდა ვეძებოთ. რატომ უწყობენ ხელს თქვენი დაფინანსებული, თუ თქვენს მიერ მოწონებული ენჯეოები, პარტიები და ტელევიზიები საქართველოში ეფესბე-ს ნარატივის გამყარებას, ჩემთვის სრულიად გაუგებარია“.

ქალ დეპუტატებზე: „სამარცხვინო ქალბატონების ქცევა კომიტეტის სხდომაზე მთელმა საქართველომ იხილა, თუ რა არის ველურობა და როგორ არ უნდა იქცეოდეს, მით უმეტეს, ქალი“.

ოპოზიციაზე: „2008 წლის ომში, მთელი საზოგადოება, ის ოპოზიცია, რომელიც გალახეთ, სცემეთ, მოკალით, ყველა ერთხმად დაგიდგათ გვერდზე, მორატორიუმი გამოცხადდა და ყველა ერთად ვიდექით მაშინ და რა დღეში ხართ ახლა, რას გავხართ?... ჩვენ და თქვენ შორის ვინც რუსული საქმე გააკეთა და დღემდე აკეთებს, იმის დედას შევე*ი მე“.

სპორტსმენებზე: „სპორტის თვალსაზრისით მინდა, გითხრათ, რომ ასეთი მხარდაჭერა აქვს სპორტს და დღე არ გავა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა მაღალ შედეგს არ მიაღწიონ და გახარებულები ვართ სულყველა... სპორტსმენები უკვე დიდი ხანია, ევროკავშირში ვართ“.

უკრაინაზე: „დამისახელეთ ერთი სახელმწიფო, რომელიც საქართველოზე მეტს აკეთებს უკრაინისთვის. დამისახელეთ, ოღონდ შესაძლებლობებიდან გამომდინარე. შესაძლებლობა, იცით, რას გულისხმობს? აი, რა შესაძლებლობაც აქვს ქვეყანას, იქიდან გამომდინარე“.

არასამთავრობო ორგანიზაციებზე: „თუ ჩვენ ასე მოგვახვევენ თავზე, რომ საქართველოს მოქალაქისთვის გიგაური (ეკა) უფრო მეტს წარმოადგენს, ვიდრე მოსახლეობის მიერ არჩეული პოლიტიკოსი, ეს სიმახინჯე უნდა დავამთავროთ ქვეყანაში, ესაა პრობლემა. დამისახელეთ ერთი ქვეყანა, სადაც ამდენის უფლება აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს“.

სალომე ზურაბიშვილზე: „პრეზიდენტი ზურაბიშვილი, დიდი ხანია, რადიკალური ოპოზიციის ლიდერად ჩამოყალიბდა. რაც შეეხება „ფრანკლინის კლუბს“, ეს არის არასამთავრობო, რადიკალური, ახალგაზრდული ორგანიზაცია (ვიცით, როგორ ამზადებდნენ ახალგაზრდებს აქციებისთვის). ახლა უკვე ორივე ერთი ძალა გახდა და არჩევნებისთვის როლების გადანაწილება და კონსულტაციები მიმდინარეობს. შესაბამისად, აქ გასაკვირი არაფერია. ეს ადამიანი, სალომე ზურაბიშვილი, დიდი ხანია ამ (რადიკალურ) ძალას წარმოადგენს“.

„გლობალური ომის პარტიაზე“: „სამწუხარო არის, რომ „გლობალური ომის პარტია“ და რიგი დასავლელი პარტნიორები პირდაპირ აძლევენ თავს უფლებას, ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში. სწორედ რადიკალური ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი აღმოაჩნდა მათი დავალებების შემსრულებელი“.

ჟურნალისტებზე: „ახალგაზრდა ჟურნალისტები, რომლებიც „ფეიკზე“ ჩასაფრებულები არიან, თქვენს სინდისზე იყოს, ჩემს ნათქვამს როგორც აჟღერებთ. თქვენ ხართ ჩასაფრებული ადამიანები, ერთი ფრაზა რომ წამოსცდებათ ადამიანებს, უნდა გაიქცეთ, მიაწოდოთ თქვენს ტელევიზიებს, ის გააშუქოთ და მერე მთელი საზოგადოება უნდა დარაზმოთ ყაველაშვილის ფრაზაზე. ყაველაშვილი იძახის იმას, რაც გულში აქვს“.

* * *

სხვათა შორის, ყაველაშვილი არ არის პირველი ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ასე, მაგალითად, 2018-2024 წლებში, ლიბერიას პრეზიდენტი, იყო ჯორჯ ვეა, რომელმაც 1995 წელს, აფრიკის კონტინენტიდან პირველმა და ერთადერთმა მიიღო „ოქროს ბურთი“.

ვეას, მილანის, პარი სენ ჟერმენის, მანჩესტერ სიტის, ჩელსისა და სხვა ცნობილი კლუბების ყოფილ ფეხბურთელს, 2005 წელს, როდესაც პირველად იყარა კენჭი ლიბერიის პრეზიდენტად და ჰარვარდის განათლებამიღებულ ოპონენტთან დამარცხდა, ასევე აკრიტიკებდნენ უმაღლესი განათლების არქონის გამო.

ორი არჩევნები, აქციები, საერთაშორისო პარტნიორების მუქარა, ფოიერვერკები და სპირიტუალური პერფორმანსები რუსთაველზე

მაკა რუხაძე

2024 წლის პოლიტ-ეკონომიკური მიმოხილვა ამირან სალუქვაძისგან

მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მთავარ გამზირზე პოლიტიკური დუღილის ტემპერატურამ იკლო და ყოველდღიური აქციებიც, თავისი შამანურ-სექტანტური რიტუალებისა თუ კრეატიულობამოკლებული, უგემოვნო პერფორმანსებით მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღიზიანებას უფრო იწვევს, ვიდრე თანაგრძნობას, გამოწვევებით სავსე 2024 წელი მალე დასრულდება. შეუძლებელია, თბილისის მერს, კახა კალაძეს არ დაეთანხმო, როდესაც თქვა, რომ გვინდა თუ არა, ახალი წელი მოვაო. დიახ, ბატონებო და ქალბატონებო (ახალგაზრდებს არ მივმართავ, რადგან თუ ვინმეს ჰგონია, რომ აქციებს ორგანიზატორი არ ჰყავს და „ჯენზი“ სპონტანურად, საკუთარი ინიციატივით იქცევა ისე, როგორც იქცევა, განაგრძოს ვარდისფერი და ცისფერი სათვალეებით ღრუბლებში მზერა), გაგიკვირდებათ და 1991 წლის 20 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე დაწყებული ძმათამკვლელი ომის მიუხედავადაც დადგა მძიმე, მაგრამ მაინც ახალი 1992 წელი და „ბუნკერის“ ტელევიზიიდან, ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა მოგვილოცა. სხვათა შორის, 1991-1992 წლების მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებად რომ არ შეფასდა და იმ გადატრიალების მთავარი აქტორები სათანადოდ არ დაისაჯნენ, იმიტომაც ვტრიალებთ ერთსა და იმავე წრეზე და იმიტომაც გაბედა დღევანდელი ახალგაზრდების აგრესიულმა ნაწილმა (ყველამ არა) 28-29 ნოემბერს, ფოიერვერკებით თუ პიროტექნიკით ომი პოლიციასთან, მაშინდელი გადატრიალების მთავარი აქტორების წამხედურობით, გნებავთ, იდეოლოგიური მხარდაჭერით, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენაზე არ ჩანან, სამაგიეროდ, „ბექსთეიჯიდან“ ამღვრევენ წყალს. თორემ მშვიდობიანად იდექით, რამდენ ხანსაც გინდათ და გააპროტესტეთ, რაც გინდათ, ან რაც არ მოგწონთ... დიახ, 2025 წელიც დადგება, შობასაც ვიზეიმებთ 7 იანვარს (მოგწონთ ეს თუ არა), ძველ ახალ წელსაც (საერთოდ არ მაინტერესებს, თუ არ მოგწონთ ორჯერ აღნიშვნა იმიტომ, რომ ჩემს საბჭოთა ბავშვობაშიც კი, ჩემი ოჯახი 13 იანვარსაც აღნიშნავდა ახალ წელს და იმაზე უფრო მეტად, ვიდრე 31 დეკემბერს), ნათლისღებასაც, არც ეს ქვეყანა გახდება რუსეთის ვასალი, ევროკავშირსა და ნატო-ზეც არ ვიტყვით უარს და ყველაფერი ისე კარგად იქნება, როგორც დაგიბარებიათ. მანამდე კი, უდიდესი გამოწვევებით სავსე 2024 წლის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპერტთან, გენერალ ამირან სალუქვაძესთან ინტერვიუში შევაჯამოთ.

– ბატონო ამირან, როგორ შეაფასებთ განვლილ 2024 წელს, რა იყო მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები წელს?

– 2024 წელი მართლაც რთული და გამოწვევებით სავსე წელი იყო არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, არამედ – ქვეყნისა და მოსახლეობისთვის. წლების განმავლობაში გრძელდება არაჯანსაღი შიდა პოლიტიკური ცხოვრება და ვერ ვაღწევთ ამ პროცესის გაჯანსაღებას. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ოპონენტებისთვის ყოველთვის მომგებიანია და პოპულისტურია ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერა, მაგრამ როდესაც

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ორი არჩევნები, აქციები, საერთაშორისო პარტნიორების მუქარა, ფოიერვერკები და სპირიტუალური პერფორმანსები რუსთაველზე

მე-7 გვერდიდან

12 წლის განმავლობაში, აბსოლუტურად ყველა არჩევნებს, იქნება ეს საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის, იგებს ერთი და იგივე პარტია, დანარჩენმა პარტიებმა ჯანსაღი ანალიზი უნდა გააკეთონ და თვითკრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს. არ შეიძლება, შუბლით აწვებოდე ჩაკეტილ კარს, რომელსაც ვერ აღებ.

წლების განმავლობაში, ჩვენ ვერ ვხედავთ ჯანსაღ დებატებს საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე და ამას თავისი მიზეზები აქვს. წელს ვიხილეთ, ალბათ, ამ ყველაფრის პიკი, ლამის, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამდე მივიდა ეს პროცესი 28-29 ნოემბერს. ის, რაც ახლა გრძელდება, მთლიანი სცენარის ნაწილია, ცდილობენ, მოიცვან საზოგადოების ყველა ფენა, დაწყებული ბებიების გაფიცვით, დამთავრებული – სხვადასხვა სპეციალობებით, რომ როგორმე ჩართონ ამ პროცესში.

მანამდე გვქონდა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები, მთელი იმ პროცესებით, რაც ამ არჩევნებს მოჰყვა და რასაც დღემდე ვადევნებთ თვალს. როგორც წესი, ჩვენთან ოპოზიცია არ აღიარებს არჩევნებს ანუ აღიარებენ მხოლოდ იმ შედეგებს, სადაც თვითონ იგებენ – ოთხი თუ ხუთი მუნიციპალიტეტი მოიგეს ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებზე, დანარჩენ არჩევნებს არ აღიარებენ. არ უღიარებიათ მარგველაშვილის გაპრეზიდენტება, არც სალომე ზურაბიშვილის, რომელსაც დღეს, ერთადერთ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ფიგურად თვლიან, მაგრამ გიმეორებთ, მისი გაპრეზიდენტება არ უღიარებიათ.

რამდენიმე დღის წინ, საპეზიდენტო არჩევნები გვქონდა, რომელიც ახალი წესით ჩატარდა და რატომღაც მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ვერ აღიქვა ეს სერიოზულ არჩევნებად. ალბათ, მსგავსი არჩევნების ორი-სამი ციკლი გვჭირდება, რომ მივეჩვიოთ. ისე აღიქვამენ, თითქოს „ქართული ოცნება“ შეიკრიბა და აირჩია თავისთვის. არადა, შეგახსენებთ, ზუსტად ანალოგიური წესით აირჩიეს შტაინმაიერი გერმანიაში, თანაც ორჯერ...

მოკლედ, ორი არჩევნები ჩატარდა წელს და მნიშვნელოვანი წელი იყო, მაგრამ საკმაოდ მძიმე საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა ყველაფერი.

– საერთაშორისო პარტნიორების ეს უდიდესი წნეხი, დიდწილად, ქვეყნის შიდა პროცესებსაც განაპირობებს. ამ კონტექსტში, როგორ აისახება ეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თუკი საერთაშორისო გრანტები და დახმარებები შეწყდება, თან არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ?

– რუსეთს რაც შეეხება, იქაურმა ანალიტიკოსებმა და გავლენიანმა პოლიტიკურიმა ფიგურებმა უკვე განაცხადეს რამდენიმე თოქ-შოუში, რომ ჩასაფრებულები არიან საკუთარი პოლიტიკური და რეგიონული მიზნების მისაღწევად და დასაცავად. მკაფიოდ აცხადებენ, რომ აქ ხელისუფლების შეცვლა იმ მიზნით, რომ შემდეგ საქართველოსთან ჩაებნენ სამხედრო მოქმედებებში, არ აწყობთ, ურჩევნიათ, თვითონ დაასწრონ მოვლენებს... მე იმას გეუბნებით, რაზეც ისინი საუბრობდნენ ამ დღეებში. საერთოდ, უნდა მივეჩვიოთ, რომ ნებისმიერ ქვეყანას, ჩვენი მეზობელი იქნება, თუ შორეული, თავისი ინტერესები აქვს. სახელმწიფოებს შორის, არ არსებობს სიტყვა – მეგობარი, ისინი ერთმანეთის პარტნიორები არიან და თუ მათ შორის, მეტ-ნაკლებად, ახლო ურთიერთობა არსებობს, ამას სტრატეგიული პარტნიორობა ეწოდება.

ჩვენ არცთუ ისე ბევრი მოთხოვნა გვაქვს სტრატეგიული პარტნიორებისადმი და რატომღაც ისინი თავის სტრატეგიულ მიზნებს ჩვენს მიზნებზე მაღლა აყენებენ – ჩვენ უნდა დავთმოთ ყველაფერი, რაც კატეგორიულად მიუღებელია. იკვეთება მკაფიოდ, რომ დასავლეთს ეს წნეხი შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენებისთვის სჭირდება – ლამის გრაფიკიც კი აქვთ შედგენილი, რომელ დღეს ვინ უნდა გამოვიდეს აქციაზე და რა განცხადება უნდა გააკეთოს. ატომური ბომბის გასროლასავით აქვთ შემონახული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ საქართველოს უვიზო მიმოსვლას შეუჩერებენ. კარგია, რომ ევროკავშირის ქვეყნები და არა მარტო უნგრეთი, სხვებიც, ეწინააღმდეგებიან ამას. საერთაშორისო პარტნიორები ისე გვექცევიან, თითქოს უთავმოყვარეო, უპრინციპო ერი ვიყოთ, რომლებსაც ისე უნდა „გვირტყან“ თავში, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. თუმცა მაშინაც კი, ასე ღიად და აშკარადაც ვერ ბედავდნენ, გავიხსენოთ 1978 წლის 14 აპრილის გამოსვლები ქართული ენის დასაცავად.

– საერთაშორისო პარტნიორებს მხარს უბამენ ოპოზიციის წარმომადგენლებიც, რომლებიც ღიად ითხოვენ სანქციებს, ჯარიმებს, რა ქვია ამას?

– პირველად, ზოგიერთ ოპოზიციონერს უსამშობლო ვუწოდე, დაახლოებით, სამი წლის წინ, როდესაც პირველად დაიწყეს სანქციების მოთხოვნა. სოციალურ ქსელში დავწერე, რომ სანქცია არის იგივე სასჯელი. ეს არის სამართლებრივი აქტი სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მხრიდან, შენი სახელმწიფოს ან შენი მოქალაქის მიმართ. ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფო, თავმოყვარე ერი და ხელისუფლება იცავს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოქალაქე სხვა ქვეყანაში არღვევს იმ ქვეყნის კანონებს და მას იქ ასამართლებენ. წარმოუდგენელია, როცა შენი მოქალაქეების დასჯას სთხოვენ სხვა სახელმწიფოებს და ზუსტად ეს არის უსამშობლოობა, როდესაც არ გაქვს სუვერენიტეტის განცდა. მეორე საკითხი, რასაც ვუკავშირებდი უსამშობლოობას, იყო უცხოელი მოსამართლეების ჩამოყვანის მოთხოვნა. როგორ შეიძლება, შენი მოქალაქე, შენს ქვეყანაში, უცხო ქვეყნის მოსამართლემ გაგისამართლოს? მნიშვნელობა არ აქვს, მოგწონს სასამართლო სისტემა, თუ არა.

სხვათა შორის, ის, რასაც საერთაშორისო პარტნიორები ითხოვენ ანუ კანონების გაწვევას და აქვე გეტყვით, ორივე კანონი აწუხებთ – გამჭვირვალობის შესახებაც და ოჯახური სიწმინდის დაცვისაც. ისიც ხომ საჯაროდ გაცხადდა, რომ თვითონაც აპირებდნენ გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებას და განმარტებაშიც პირდაპირ ჩაწერეს, თუ რატომ არ მიიღო ევროპარლამენტმა ევროკავშირისთვის მსგავსი კანონი – ჩვენ რომ მივიღოთ გამჭვირვალობის კანონი, საქართველოს მის გაუქმებას ვეღარ მოვთხოვთო.

დღეს ძალიან მკაფიო პასუხი გასცა შალვა პაპუაშვილმა ესტონეთს, ჭკუას გვასწავლის პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელთან ერთადაც დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით. ვინაიდან ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეგვასწრეს ევროკავშირსა და ნატო-ში, ზემოდან უნდა გვიყურონ? რა წესია და რა ტონალობაა, საერთოდ? არ მაქვს მორიდების მომენტი და პირდაპირ დაწერეთ, რა ტონია ან რანაირად მოგვმართავს ესტონეთის ვიღაც საგარეო საქმეთა მინისტრი? რატომ ჰგონიათ, რომ მათი ადრესატი აქ უნდა იყოს კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა?! მილიონზე მეტმა ადამიანმა მისცა ხმა „ქართულ ოცნებას“ ხმა და რას ეუბნებიან ამ ხალხს?

სხვათა შორის, ოპოზიციის წევრები რომ დაასანქციირონ პოლიტიკური მოტივებით, იგივე დამოკიდებულება მექნება და ამ სიტყვებს არასდროს წავიღებ უკან! ერთადერთ შემთხვევაში აქვს სხვა ქვეყანას ჩემი ქვეყნის მოქალაქის დასჯის უფლება, თუ ის მის ტერიტორიაზე დანაშაულს ჩაიდენს. კეთილი ინებონ და მოსახლეობის არჩევანს პატივი სცენ!

ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ წლების მანძილზე, ოპოზიციას არ ჰყოფნის იმის რესურსი, ხელისუფლებას არჩევნებზე მოერიოს და დახმარებას ეძებს ქვეყნის გარეთ. რას აპროტესტებენ ამ აქციებზე? არჩევნების განმსაზღვრელი მსოფლიოში არის ერთადერთი ორგანიზაცია ეუთო-ოდირი...

– არ აღიარებენ ეუთო-ოდირის დასკვნას, ბატონო ამირან.

– ჰოდა, თუ ამას არ აღიარებ, თუ სტრასბურგს არ აღიარებ, მაშინ, რომელ ევროპულობაზე მელაპარაკები? მაშინ აფრიკის კავშირიდან მოვიწვიოთ დამკვირვებლები, ან ანტარქტიდიდან – პინგვინები!

იყო პროტესტის მეორე ტალღაც, როდესაც ააგორე ცრუ ინფორმაცია, თითქოს ევროკავშირში გაწევრიანება გააჩერა ხელისუფლებამ. კარგი, დავუშვათ, პირველ დღეს ვერ მიხვდი, მოგატყუეს შენმა ტელევიზიებმა, მეორე-მესამე დღესაც ვერ მიხვდი და ახლაც ვერ ხვდები? დავუბრუნდეთ მათ მთავარ ბრალდებას – ხელისუფლების თითქოს ევროპული კურსიდან გადახვევას. იანუკოვიჩის გვარს რომ ახსენებენ, იანუკოვიჩმა ასოცირების შეთანხმება გააჩერა! ჩვენ კი პირიქით – ვაგრძელებთ ასოცირების შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს, 2028 წლისთვის ამ ვალდებულებების 90%-ზე მეტი გვექნება შესრულებული და თვითონ დავაყენებთ ამ საკითხსაც.

– საზოგადოებას უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

– ორი წლის წინ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაგალითზე ავხსენი, რას ნიშნავს ეს ვალდებულებები. დაახლოებით, 150-მდე საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტი და სხვა სახის რეგულაცია იყო მიღებული, რაც უამრავ სფეროს ეხება – დაწყებული ბუნების

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№43 18 დეკემბერი 2024 წ

ნაპოვნია ახალგაზრდა ქალის გვამი

„დანა სულ დამაქვს, ამოვიღე და პირდაპირ ქვემოდან დავარტყი, დაცინვა ვერ ვაპატიე“ – მკვლელის აღიარება

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში პროსტიტუცია ოფიციალურად დაშვებული არ არის, მაგრამ ყველამ იცის ის ადგილები, სადაც „ღამის პეპლები“ დგანან და საქმიანი სახეებით „კლიენტებს“ ელიან. ვაღიაროთ, რომ ბოლო პერიოდში „ქუჩის პეპლები“ მხოლოდ ქალები აღარ არიან, იქ მრავლად ნახავთ ტრანსებს, „გეებს“, ლესბოსელებს... ყველას თავისი მუშტარი ჰყავს. უფრო ძვირი ღირს საუნაში მისვლა და იქ ქალის არჩევა, აი, ყველაზე ძვირი კი დახურულ კლუბებში, უცხოეთიდან ჩამოყვანილი სტრიპტიზის მოცეკვავეების პრივატმომსახურებაა. მათ მოცეკვავეები ჰქვიათ, თორემ ერთი საათით განმარტოება 300 დოლარიდან იწყება და 1000 დოლარამდე ადის, გააჩნია, რა გსურთ, რამდენი ხნით და რამდენთან. ცალკე კასტაა აზიური მასაჟის სალონების კლიენტურა... როგორ გგონიათ, ეს ამბავი არავინ იცის? იციან, მაგრამ თვალს ხუჭავენ, რადგან ვერც ქუჩაში დგომას აკრძალავენ და ვერც საუნებში შევარდებიან, მით უმეტეს, როცა ყველაფერი ნებაყოფლობითია.

არცთუ დიდი ხნის წინ, თბილისთან ძალიან ახლოს, ერთ-ერთ ქალაქში, ახალგაზრდა ქალი იპოვეს გარდაცვლილი. მას დანით არაერთი ჭრილობა ეტყობოდა და ექსპერტმაც დაბეჯითებით თქვა, სწორედ დანით არის მოკლული, მაგრამ რა სახის დაზიანებებია, რომელი დარტყმა იყო სასიკვდილო, მხოლოდ გაკვეთის შემდეგ გეტყვითო. გოგონას ბინა ნაქირავები ჰქონდა და როგორც მეზობლებმა თქვეს, მარტო არ ცხოვრობდა. მასთან ერთად, კიდევ ერთი გოგო ცხოვრობდა და როცა ბინის მეპატრონეს დაუძახეს, მან დაადასტურა, ბინა ორ სტუდენტ გოგონაზე გავაქირავეო.

მეზობლები გოგონებზე ცუდს არაფერს ამბობდნენ, მუდმივად მოწესრიგებულები დადიოდნენ, არასდროს მათი სახლიდან ხმაური არ გამოსულა და რაც მთავარია, არასდროს შეგვიმჩნევია, სტუმრად ვინმე მიეყვანათ და დიმპიტაური ჰქონოდათო. მეზობლების მონაყოლს, უწესიერესი, სოფლელი ბავშვები იყვნენო, ერთი რამ არ ემთხვოდა – ბინა სავსე იყო ქალის თეთრეულით, პარფიუმერიით და ყველაფერი ეს, იაფი არ ღირდა. წესითა და რიგით, სტუდენტ გოგონებს 200 და 300-ლარიანი საცვლების ფული არ უნდა ჰქონოდათ, არც „შანელის“ სუნამოების ნაირსახეობა უნდა ყოფილიყო მათთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ ყველაფერი ბინაში იყო და ახლა, საინტერესო ის გახლდათ, სად იყო მეორე გოგონა. ჯერ ინსტიტუტში მივიდნენ, სადაც უთხრეს, რომ გოგონები ლექციებს ხშირად აცდენდნენ, ვერც აკადემიური მოსწრებით დაიკვეხნიდნენ, მაგრამ მათზე ცუდს ვერც იქ ამბობდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ, ჩუმად დადიოდნენ, ზედმეტად არავის ეკონტაქტებოდნენ და ცდილობდნენ, ყოველთვის შეუმჩნევლად დარჩენილიყვნენო. სწორედ ერთმა თანაჯგუფელმა თქვა, თუ არ ვცდები, ერთ-ერთი სოფელში აპირებდა წასვლას, მგონი, დედა ჰყავს ცუდადო.

ძალოვნები სოფელში გაემგზავრნენ და გოგონა მაართლაც იქ დახვდათ. მან არ იცოდა, რომ უახლოესი მეეგობარი მოუკლეს, ცრემლები გადმოყარა, ახლა რა მეშველებაო, მაგრამ როცა სამართალდამცავებმა სიტყვა სახლში ნაპოვნ ძვირფას ნივთებზე ჩამოუგდეს, გოგონამ მუდარით შეხედა, ოღონდ ჩემებს არ გააგებინოთ და ყველაფერს გეტყვით, მით უმეტეს, გამოძიება ჩემს ინტერესებშიც შედისო.

„სახლში იციან, რომ ვსწავლობდით და პარალელურად ვმუშაობდით, მე, თითქოს საბუღალტრო კურსები გავიარე. ხომ ხედავთ, სად და რა პირობებში ცხოვრობენ ჩემები? არ მინდა ასეთი ცხოვრება და არც სიმწრით გამოგზავნილი ფული მყოფნიდა. მგზავრობას ვინ ჩივის, რასაც გვიგზავნიდნენ, საჭმელშიც არ გვყოფნიდა. ასე დავიწყეთ ერთ-ერთ სალონში მუშაობა, სადაც მასაჟისტის დამხმარეები ვიყავით, მაგრამ მერე, ნელ-ნელა მივხვდით, რომ ის მასაჟის სალონები საერთოდ არ იყო განკუთვნილი მასაჟისთვის და მამაკაცები მხოლოდ ერთი რამისთვის მოდიოდნენ. ასე დავიწყეთ „მოღვაწეობა“ და მალე უფრო პრესტიჟულ სალონში გადავედით. ნდობით მხოლოდ ერთმანეთს ვენდობოდით, ამ თემებზე არასდროს, არავისთან ვსაუბრობდით და მხოლოდ შინ ვუზიარებდით ერთმანეთს იმ დღის ამბებს. ასე გაგვიჩნდა ფული, ასე ვიყიდეთ ხარისხიანი სუნამოებიც, საცვლებიც... როცა კაცი ფულს იხდის, დახეული ტრუსით ვერ დაენახვები. არ ვიცი, ვის შეიძლებოდა მოეკლა, მაგრამ ამას წინათ, ერთი არაბი აუშარდა, გინდა თუ არა, არაბეთში უნდა წამომყვე და იქ ორი თვე ჩემთან იცხოვრო, დღეში ათას დოლარს გადაგიხდიო. არ მიჰყვებოდა, რადგან უცხო ქვეყანაში, უცხო კაცთან... მთელი ცხოვრება რომ იქ დაეტოვებინა მონობაში, ან უბრალოდ მოეკლა, ვინ იქნებოდა პატრონი? ჰოდა, ის არაბი იმუქრებოდა, ნახავ, რას გიზამო და შეიძლება“, – ვეღარ დაამთავრა გოგონამ და ატირდა.

სამართალდამცავებმა არაბს მალე მიაგნეს. როცა მან ძალოვნების მისვლის მიზეზი გაიგო, გაიცინა, ეს არც პირველი შემთხვევაა, არც ბოლო იქნება, მოგცემთ გოგონების სიას, რომლებიც წავიყვანე, მერე უკან დავაბრუნე და ისინი ძალიან ბედნიერები არიან, მეტი საქმე არ მაქვს, ვიღაც ბოზის გამო ციხეში წავიდეო. პოლიციელებმა მართლაც გადაამოწმეს სამი გოგონა და მათ აღიარეს, რომ არაბს გაჰყვნენ და მან დანაპირები შეასრულა, გადაუხადა და შემდეგ უკან დააბრუნა. წესითა და რიგით, გარდაცვლილს სხვა მტერი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ... ხომ შეიძლებოდა, რომელიმე კლიენტს რამე წამოსცდენოდა, ან გოგონას დაეშანტაჟებინა, ან... საფიქრი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი.

ამასობაში, ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა.

„სავარაუდოდ, ქალი ვიღაცას ზემოდან აჯდა, მაგრამ აჯდა ჩაცმული, რადგან სქესობრივი აქტი არ ჰქონია, იმ ვიღაცამ კი, დანა დაბლიდან დაარტყა და ვინც ეს გააკეთა, პირველ რიგში, ცაციაა და მეორეც – ურტყამდა ძლიერად, გამეტებით, მეორე თუ არა, მესამე დარტყმის შემდეგ, გოგონა მოკვდებოდა, მაგრამ მკვლელმა კიდევ განახორციელა რამდენიმე დარტყმა“, – ეწერა დასკვნაში.

გოგონა სოფელში გადაასვენეს, ათამდე გადაცმული ოპერი გასვენებაში ხალხში დადიოდა, ჭორ-მართალს აგროვებდა, მაგრამ ხელჩასაჭიდი იქაც ვერაფერი მოისმინეს. სოფელში ზოგი ამბობდა, შეყვარებული ჰყოლია და იმან მოკლაო, ზოგი ამბობდა, მანიაკი იქნებოდაო... დაქალის მონაყოლით, შეყვარებული ბუნებაში არ არსებობდა, გოგონები ცდილობდნენ, თან ფული მოეგროვებინათ, თან ესწავლათ, შემდეგ კი, ყველაფერი ეს, უბრალოდ, დაევიწყებინათ. ჰო, ძალოვნებმა ბინაში დაახლოებით 3 ათას დოლარს მიაგნეს ანუ მკვლელი ფულის გამო არ იყო მისული. ეს იყო შურისძიება, მაგრამ რატომ და რისთვის? თუ გარდაცვლილმა მკვლელი შეუშვა, მეტიც, ზემოდან მოექცა, რა იყო ის, რის გამოც ტრაგედია დატრიალდა?

მეორე გოგონა ქალაქში მალე დაბრუნდა, სამართალდამცავებთან მივიდა, მე იმ ბინაში ცხოვრებას ვეღარ შევძლებ, გადასვლა ხომ შეიძლებაო და როცა თანხმობა მიიღო, თავი დაიქნია და წავიდა. ამ ამბიდან ორ საათში, პოლიციის განყოფილებაში შეტყობინება შევიდა – გოგონას ვიღაც დაესხა თავს, მისი მოკვლა სცადა და ის მხოლოდ შემთხვევით გამვლელმა გადაარჩინა. თავდამსხმელმა დანის ერთხელ დარტყმა მოასწრო, მაგრამ ექიმები ირწმუნებოდნენ, გადავარჩენთო.

„წარმოდგენა არ მაქვს, ვინ იყო. ჯერ ერთი, შებინდებული გახლდათ და მეორეც – ნიღაბი ეკეთა. ვერც ვიგრძენი, დანა რომ დამარტყა, ტანსაცმელზე ჩავჭიდე ხელი, ნიღბის მოხსნა მინდოდა, მერე ვიღაც მომეშველა და ის გაიქცა. რაღაც მოვახიე ტანისამოსზე, იქვე დავაგდებდი, რადგან სისხლი დავინახე და პანიკა დამეწყო“, -განაცხადა გოგონამ.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავება ქურთუკის გარეთა ჯიბის ნაჭერი ნახეს. როგორც ჩანს, გოგონამ თავდამსხმელს ჯიბე მოახია. რა თქმა უნდა, ექსპერტიზაზე გაგზავნეს და პასუხი ცოტა უცნაური იყო – „ჯიბის ნახევის შიგნითა მხარეს თამბაქოს ნაწილაკები და პეპლის ფრთების მტვრის დიდი რაოდენობაა“.

პეპლის მტვერი რაღაც ახალი იყო. ვის უნდა ჰყოლოდა ჯიბეში პეპელა? როცა ამის შესახებ დაზარალებულს ჰკითხეს, მან თვალები დახუჭა და ჩუმად თქვა – ვიცი, ვინ არის მკვლელი, ჩვენი „ხაზეიკას“ შვილია... ღმერთო, რა სულელია“... სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ისინი „ხაზეიკას“ შვილის დასაკავებლად წავიდნენ. ის შინ იყო და კედელზე, ჩარჩოში ჩასმული, 50-მდე პეპელა იყო გამოფენილი. მას ძალოვნების დანახვა არ გაჰკვირვებია, არც თავის მართლება დაუწყია, მით უმეტეს, რომ ჯიბეჩამოხეული ქურთუკი მისაღებში ეკიდა.

„ის გოგონა მომწონდა... ძალიან მომწონდა... მოკლული კი არა, მეორე, დღეს რომ ვერ მოვკალი. ისიც ხვდებოდა, ერთხელ დამპატიჟა, ცოტა დავლიეთ, მერე მომეხვია და... არ ვიცი, რა დამემართა, კანკალმა ამიტანა და ვერაფერი შევძელი. ვთხოვე, არავისთვის ეთქვა და ისიც დამპირდა. მკვლელობის დღეს მივედი, მეგონა, შინ იქნებოდა და მისი დაქალი დამხვდა. ნასვამი იყო, შემიპატიჟა, ცოტა მეც დავლიე და მერე ლოგინზე დამაგდო, შენგან კაცს გავაკეთებო, ასე მითხრა და გახდა დამიწყო, თან სიცილით მიყვებოდა, დეტალებში მიყვებოდა, როგორ შევრცხვი მის დაქალთან. დანა სულ დამაქვს, ამოვიღე და პირდაპირ ქვემოდან დავარტყი. დაცინვა ვერ ვაპატიე, მაგრამ მთავარი დამნაშავე ხომ ის იყო, ვინც ცოცხალი დარჩა და ვინც ჩემზე იჭორავა. ამიტომ ვცადე მისი მოკვლა“, – დაასრულა ბიჭმა მოყოლა და... სასამართლომ მას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სისხლიანი პირველი ღამე

ვინ ჩაარტყა თავში უთო და რატომ გასწირეს პატარძალი სასიკვდილოდ

ბათო ჯაფარიძე

ერთხელ, ერთმა კაცმა თქვა, ქართული ზღაპრები უცნაურად მთავრდება, წყვილი ქორწინდება და... „ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად“. არადა, რეალურად, დაქორწინება სულაც არ არის ტკბილად და ბედნიერად ცხოვრების გარანტიაო და ეს სრული სიმართლეა. სწორედ ქორწინების შემდეგ იწყება ყველაზე საინტერესო და ვაღიაროთ, რომ ტკბილად და ბედნიერად მუდმივად ნამდვილად ვერ თუ არ ცხოვრობენ წყვილები, თუმცა ისიც ფაქტია, რომ წყვილთა უმრავლესობისთვის ყველაზე ბედნიერი მომენტი დაქორწინებაა, რიტუალი, რომელზეც ყველას უოცნებია და ამ დღის სიხარულს მხოლოდ ბავშვის დაბადება თუ შეედრება.

მილიციის განყოფილებაში ახალგაზრდა კაცმა დარეკა და განაცხადა, რომ მეუღლე გარდაცვლილი იპოვა. ადგილზე სამართალდამცავები დაუყოვნებლივ გავიდნენ და საზარელი სურათი დხვდათ – საპატარძლო კაბაში გამოწყობილი გოგონა იატაკზე იწვა, თავზე, ზედ საფეთქელთან, ღია ჭრილობა უჩანდა, საიდანაც იმდენი სისხლი იყო გამოსული, რომ ოთახში გუბე იდგა. ოთახში იყო ახალგაზრდა კაციც, რომელიც ამბობდა, რომ ცოლი წინა დღეს მოიყვანა და ისიც მთლიანად სისხლში იყო ამოსვრილი. რაღა თქმა უნდა, ძალოვნებს ეგონათ, რომ ყველაფერი ახლადგამოჩეკილმა ქმარმა ჩაიდინა, მაგრამ...

„გუშინ ვიქორწინეთ და პირველი ღამის გატარება აქ გადავწყვიტეთ, სასტუმროში. როგორც კი მოვედით, შიდა ნომერზე დამირეკეს. მე ქირურგი ვარ და სასწრაფოდ ბავშვი მოიყვანეს საოპერაციოდ. სხვა გზა არ იყო, ცოლი დავტოვე და ოპერაციის გასაკეთებლად წავედი. ოპერაცია ოთხ საათს გაგრძელდა, შემდეგ ოთახში შევედი და დაღლილს ჩამეძინა. დაახლოებით, სამი საათი მეძინა, რომ გავიღვიძე, ძალიან შემრცხვა. სასწრაფოდ გავიძრე ხალათი და სასტუმროში წამოვედი, ოთახის კარი გავაღე და დავინახე ის, რასაც თქვენც ხედავთ. მაშინვე მივვარდი, ხელოვნური სუნთქვა მინდოდა ჩამეტარებინა, მაგრამ... მე ექიმი ვარ და სხეულის ტემპერატურით მივხვდი, რომ რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო და ამის მერე დავრეკე. არ ვიცი, ვის შეიძლებოდა მოეკლა, რატომ შეიძლებოდა მოეკლა“, – ამბობდა მამაკაცი და მისი სიმშვიდე სავარაუდოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ექიმს სისხლის დანახვა არ უკვირდა და არც გვამი იყო მისთვის უცხო.

ოთახში იყო პატარძლის მეჯვარეც, უახლოესი დაქალი,რომელსაც წყვილმა ოთახი იმავე სართულზე უქირავა, რადგან რაიონიდან იყო ჩამოსული, სადაც მასწავლებლად მუშაობდა, დედაქალაქის ბინა კი გაქირავებული ჰქონდა. იქვე ეგდო მკვლელობის იარაღი – უთო. ექიმმა თქვა, ყველა საჩუქარი ოთახში ამოვაზიდინეთ, გვსურდა, ღამით გაგვეხსნა, გაგვეგო, ვინ რა გვაჩუქაო. ოთახში დაიბარეს ფოიეში მყოფი ქალბატონიც, რომელმაც თქვა, მხოლოდ ერთი ბიჭი იყო მოსული, სხვა საეჭვო არავინ მინახავსო. მეჯვარემ მხრები აიჩეჩა, მე არავინ შემინიშნავსო, მაგრამ გვერდით ნომერში მცხოვრებმა გოგონებმა თქვეს, ღამით ვიღაც კაცმა მოგვიკაკუნა, გვითხრა, ცოლს სიურპრიზი უნდა გავუკეთო, არ მელოდება და აივნიდან უნდა გადავძვრეო. ჩვენც შემოვუშვით, გადაძვრა და მერე რა მოხდა, არ ვიცითო. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა გოგონებს ფოტორობოტის შექმნა სთხოვეს და მათაც ჟღურტულით აღწერეს მამაკაცი, ძალოვნების მიერ მიყვანილმა მხატვარმა კი სახე იქვე მოხაზა და ქმარს აჩვენა, რომელმაც ფოტოს დახედა და ჩუმად ჩაილაპარაკა – „შეუძლებელია!“ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მან ნახატზე აღბეჭდილი სახე იცნო და არც დაუმალავს.

„ეს ჩემი მეუღლის პირველი ქმარია. სამივე თანაკლასელები ვიყავით, პრინციპში, რაღა სამივე, ჩემი მეუღლის მეჯვარეც ჩვენი თანაკლასელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ, მალევე იქორწინეს, მაგრამ ასევე მალე აერიათ. მერე, ის ბიჭი კრიმინალებს დაუკავშირდა, დაიჭირეს და მეგონა, რომ დღემდე ციხეში უნდა მჯდარიყო. სწორედ ციხეში ყოფნის დროს დაშორდა ჩემი მომავალი მეუღლე ქმარს და მერე მე გამომყვა ცოლად. არ ვიცი, რატომ გამოუშვეს, შეიძლება გამოიქცა, რადგან ზუსტად ვიცი, ვადა ჯერ არ გასვლია“, – განაცხადა ექიმმა.

სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილ მამაკაცზე ძებნა გამოაცხადეს. ყველა ფეხზე დადგა და მალე, აგენტურული ქსელის მეშვეობით, დაადგინეს, რომ ის ბიძაშვილთან იმყოფებოდა, საკუთარ სახლში, მაგრამ... იმავე აგენტურის ცნობით, კი არ იმალებოდა, გარეთაც გადიოდა, სიგარეტსაც ბირჟაზე ეწეოდა, მაგრამ... სახე დაკაწრული ჰქონდა. ძალოვნებმა ის მარტივად დააკავეს.

„ჯერ ერთი, ვადაზე ადრე გათავისუფლება შემეხო და გარეთ ამიტომ ვარ. ხუთი დღეა გამოვედი, რაღაცები დამაბარეს იქაურმა მეგობრებმა და ამიტომ ვერ მოვიცალე. როცა მოვიცალე, ჩემი ცოლყოფილი მოვიკითხე და მითხრეს, დღეს ქორწილი ჰქონდაო. გავიგე, სადაც აპირებდნენ პირველი ღამის გატარებას, მივედი და გვერდითა ნომრიდან გადავძვერი, მეგონა, კარს არ გამიღებდნენ. მარტო დამხვდა ოთახში და გამიკვირდა, პირველ ღამეს ქალი როგორ უნდა მიატოვო? ვიკამათეთ, სახეც ჩამომკაწრა, მაგრამ მერე შევრიგდით, 2 ჭიქა შავი ღვინო მოვწრუპე. არ მეგონა, თუ გათხოვდებოდა, არ მეეგონა, თუ მიმატოვებდა. ციხეში მაკითხავდა, რჩებოდა კიდეც, ბოლოს ორი თვის წინ იყო და... უცებ გამშორდა... ამიტომ ვეკამათე, მაგრამ როგორც გითხარით, შევრიგდით და წამოვედი. როცა წამოვედი, ცოცხალი იყო“, – განაცხადა მამაკაცმა, მაგრამ მის სიტყვებში ძალოვნებმა საფუძვლიანი ეჭვი შეიტანეს. საქმე ის გახლდათ, რომ მკვლელობის იარაღზე ანუ უთოზე, სწორედ მისი თითის ანაბეჭდები იყო, მაგრამ კაცმა მშვიდად ახსნა, სავარძელში იდო და რომ ვჯდებოდი, ავიღე და გადავდეო.

უთოზე კიდევ ორი ანაბეჭდი იყო აღმოჩენილი – ქალისა და მამაკაცის. მეჯვარემ თქვა, ჩემი იქნება, უთო მე ვუყიდე და როცა ვყიდულობდი, მაღაზიაში ყუთიდან ამოვიღე, ჩავართვევინე და შევამოწმეო. ჰოდა, მთავარ ეჭვმიტანილაად მაინც ყოფილი ქმარი რჩებოდა, მაგრამ ყველამ, ვინც ნახა, ერთხმად აღნიშნა, რომ მას ციხიდან გამოსვლის შემდეგ, სამოსი პრაქტიკულად არ გამოუცვლია, ექსპერტი კი, ამტკიცებდა, რომ საფეთქელიდან სისხლი ისე გაასხამდა, მკვლელი აუცილებლად დაისვრებოდაო. დაკავებულს სისხლის კვალი არ ეტყობოდა და მერე რა, რომ ქალის ფრჩხილებში, სწორედ მისი კანის ნაწილაკები იყო აღმოჩენილი – დაკავებული არ უარყოფდა, რომ ყოფილმა ცოლმა ჩამოკაწრა, თუმცა არ მოუკლავს.

ჰო, ექსპერტმა ისიც თქვა, ქალი ერთი თვის ორსული იყოო, რაც ექიმისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. მან ჯერ თავი ჩაღუნა, შემდეგ მწარედ გაიცინა და ჩუმად, ძლივს გასაგონად წაისისინა: „ბოზი... ჩვეულებრივი ბოზი... მე ბავშვი არასდროს მეყოლება, ეს ზუსტად ვიცი, ექიმი ვარ, ბევრგან შევამოწმებინე თავი და... ეს ბავშვი ჩემი არ არის“...

ახალი ვერსია გაჩნდა – ხომ შეიძლებოდა, ქმარს ორსულობის შესახებ გაეგო, ან ექიმის მახვილი თვალით შეეტყო ცოლისთვის ფეხმძიმობა და ეჭვიანობის ნიადაგზე მოეკლა. მას ანაბეჭდები აუღეს და უთოზე მესამე თითის ანაბეჭდი მისი იყო, მაგრამ ქმარმა გაიღიმა, რა გასაკვირია, ყუთიდან მე ამოვიღე, ხელში შევატრიალე და სავარძელში ჩავდეო. სამართალდამცავებმა აღარ იცოდნენ, ვისთვის დაეჯერებინათ, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მყარი აარგუმენტი არ ჰქონდათ, რომ რომელიმესთვის დაედოთ ხელი. არადა, ერთი რამ უტყუარი გახლდათ – უთო გარდაცვლილს თავში მეჯვარემ, ქმარმა, ან ყოფილმა ქმარმა ჩაარტყა. სხვას რომ გაეკეთებინა, მისი ანაბეჭდებიც იქნებოდა და ისიც გამორიცხული იყო, ვინმეს ხელთათმანებით ემოქმედა, მაშინ, რომელიმე ანაბეჭდს სპეციფიკურად დააზიანებდა, ასეთი რამ კი არ ჩანდა. გამომძიებელმა ქმარს მკვლელობის იარაღი შეუტანა და სთხოვა, ხელით არ შეეხო, მაგრამ გვაჩვენე, თუ გახსოვს, როგორ აიღეო. მან უთოსკენ ხელი წაიღო და...

„მოიცათ. თქვენ ამბობთ, რომ ამ უთოზე მეჯვარის ანაბეჭდებიც არის? და იცით, რომ მეჯვარეს ეს უთო არ უჩუქებია, მან მეორე უთო გვაჩუქა“, – განაცხადა ქმარმა. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და დასაკითხ ოთახში მეჯვარე შეიყვანეს, წინ დაუდეს უთო და ჰკითხეს, ეს უთო იყიდე თუ მეორეო და გაუხსნელი ყუთიც წინ დაუდეს. მეჯვარე ჯერ დაიბნა, მაგრამ სულ ორიოდე წამით, შემდეგ სახე გაუქვავდა და მშვიდად, ძალიან მშვიდად თქვა: „მე მოვკალი!“

„ეს ექიმი მე მიყვარდა, სულ მიყვარდა, მასაც ვუყვარდი. მერე კი, ეს გამოჩნდა და ზუსტად ვიცოდი, რომ სინამდვილეში, ამის კარიერა სურდა, ამის მომავალი. ღალატობდა, იმ ქმარს რომ დაშორდა, მაინც აკითხავდა ციხეზე, აქაც რომ მოუვარდა, მერე მე შევედი და მითხრა, პირობა მივეცი, რომ მისი საყვარელი ვიქნები და ვიქნები კიდეცო. ერთ რამეს ნერვიულობდა, ორსულად ვარ და არ ვიცი, ვისგანო. წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მის ქმარს შვილი არასდროს ეყოლებოდა, ალბათ, მერე აპირებდა თქმას, ან საერთოდ არ აპირებდა. ვუთხარი, რომ ბავშვს სხვისგან ელოდებოდა და დაიკიდე, რა მნიშვნელობა აქვსო. ველარ მოვითმინე და უთო ჩავარტყი. ისე, არ მეგონა, თუ მოკვდებოდა, მაგრამ ახლა, ამ გადმოსახედიდან, არ ვნანობ, რომ მოვკალი“, – დაასრულა მოყოლა მეჯვარემ.

ბათო ჯაფარიძე

ბევრს, ალბათ, ფილმებში უნახავს, როგორ ერთობა წყვილი სასიყვარულო თამაშებით. საწოლზე მიბმული ხელები, ტყავის ტანისამოსი, მათრახი... ფანტაზიასა და ფიქრებს გასაქანი ეძლევა და ზოგისთვის, ყველაფერი ეს, ძალიან მისაღები და ჩვეულებრივი ამბავია, ბევრი კი ფიქრობს, რომ ასე არ შეიძლება და ეს გარყვნილებაა. ასეა თუ ისე, სხვისი საძინებელი ჩვენი საქმე არ არის, ამიტომაც ადამიანებს სრული უფლება აქვთ, როგორც სურთ, ისე გაერთონ, მაგრამ როცა ყველაფერი ეს კრიმინალში გადადის...

სიკვდილით დასრულებული ბინძური სექსუალური თამაშები

როგორ გაძარცვეს გარდაცვლილი 60 წლის მამაკაცი საყვარელმა და მისმა დაქალმა

50 წელს გადაცილებული მამაკაცი ღამის ცვლიდან სახლში დაბრუნდა. მან გასაღებით სცადა კარის გაღება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა – აშკარა იყო, საკეტის მეორე მხარესაც გასაღები იყო გაყრილი, მაგრამ რატომ? წესითა და რიგით, მეუღლე ახლა სამსახურში უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამოდიოდა, რომ შინ გახლდათ და... კარს არ აღებდა. მამაკაცმა მეზობლის კარზე დააკაკუნა და სთხოვა, ეგებ, შემომიშვა, შენი აივნიდან ჩემსაზე გადავალო (ასე ადრე ხშირად სარგებლობდნენ მეზობლები, როცა გასაღები ავიწყდებოდათ, ან ოჯახის წევრი შინ არ იყო) და რაღა თქმა უნდა, მეზობელმაც შეუშვა. როგორ არ შუეშვებდა, მარტოხელა ქალი იმ მამაკაცის მეუღლის უახლოესი მეგობარი იყო და თავადაც შეწუხდა, ნეტავ, დაქალს რა სჭირსო? მამაკაცი აივანზე გადაძვრა, საძინებლის კარი შეაღო და... გაოცებისგან სკამზე ჩამოჯდა. ..

მისი ცოლი საწოლის რკინის საზურგეზე ბორკილებით იყო მიბმული, მხოლოდ საცვლები ემოსა და საბანი არ ეფარა. რაც მთავარია, იქვე, სავარძელში, ასე, 60 წელს მიტანებული მამაკაცი იჯდა და სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ამ დროს, კარზე მეზობელი ქალი უწყვეტად აბრახუნებდა, მამაკაცი ადგა, კარი გააღო, მეზობელი შემოუშვა და ახლა მისი გაოცების ჯერი დადგა. ოჯახის უფროსმა ტელეფონი აიღო, საასწრაფოში დარეკა და უთხრა, სამართალდამცავებიც გამოიყოლეთ, აქ მკვდარი კაციაო. აბა, რა ძნელი გამოსაცნობია, რომ ცოლისგან ყველაფრის ახსნას მამაკაცი მოუთმენლად ელოდა.

„სამსახურში მაგვიანდებოდა, ამიტომ ოთახიდან ოთახში დავრბოდი, როცა კარზე კაკუნი გავიგე. არც მიკითხავს, ვინ ხარ-მეთქი, ისე გავაღე კარი. ეს კაცი შემოვიდა, მითხრა, მრიცხველი უნდა შევამოწმოო. მერე თმაში მწვდა, საძინებლისკენ წამომიყვანა, ბორკილებით მიმაბა და მკითხა, ფულს სად ინახავთო. კარი შიგნიდან, გასაღებით გადაკეტა, ალბათ, ამიტომ ვერ გააღე. რა უნდა მეთქვა, რა ფული, არ ვართ ჩვენ ისეთი ოჯახი, დანაზოგი გვქონდეს-თქო და გული გაუხდა ცუდად. საძინებლის კარი დაკეტილი იყო, ვყვიროდი, მაგრამ ვერავის გავაგონე. მივხვდი, რომ მოკვდა, მაგრამ რა უნდა მექნა, ერთადერთი იმედი ის იყო, რომ შენ ბრუნდებოდი და აგერ, მოხვედი კიდეც“, – დაასრულა ქალმა მოყოლა და ოთახში ექიმებთან ერთად, სამართალდამცავებიც შემოვიდნენ.

რაღა თქმა უნდა, მედიკოსებმა მამაკაცის გარდაცვალება დაადასტურეს, მაგრამ სიკვდილის მიზეზს ზუსტად გაკვეთის შემდეგ ვიტყვით, ისე კი, ინსულტი უნდა იყოსო. ძალოვნები ჯიუტად ცდილობდნენ ბორკილის გახსნას, მაგრამ გასაღები არ უდგებოდა, სხვანაირი საკეტი ჰქონდა. უფრო გამოცდილმა ძალოვანმა ყურადღებით დაათვალიერა ბორკილი, შემდეგ მხრები აიჩეჩა და დაბეჯითებით თქვა – ასეთი ბორკილი არასდროს მინახავს, არც ასეთი საკეტი მინახავს და შესაძლოა, ეს მეორე მსოფლიო ომამდე იყოს დამზადებული, მეორე მსოფლიო ომში რასაც იყენებდნენ, ის ვიცი, ნანახი მაქვსო. სამართალდამცავებმა შესაბამისი სპეციალისტი გამოიძახეს, მაგრამ რად გინდა, გახსნა მათაც გაუჭირდათ. მოიყვანეს ანტიკვარიატის ექსპერტი, რომელმაც თქვა, რომ ასეთი ბორკილი მუზეუმში ჰქონდა ნანახი და ისიც დაადასტურა, იქ გასაღები აქვთო. მუზეუმის თანამშრომელმა გასაღები მოიტანა, ბორკილი მარტივად გახსნა და ჩაილაპარაკა – „საოცარია!“

„ასეთი ბორკილი ძალიან იშვიათია. სულ სამი ცალი უნდა იყოს საქართველოში, ერთი გაქრა, ვიღაცას აქვს და არ აჩენს, მეორე – მუზეუმშია და მესამე – მემკვიდრეობით ერგო ვიღაცას, სახელი და გვარი მუზეუმში ინახება. ეს ან ის გამქრალი ეგზემპლაარია, ან ის, რომელიც კონკრეტულ პირს აქვს“, – განაცხადა მუზეუმის თანამშრომელმა და ისიც დაადასტურა, რომ ანალოგიურ საკეტს მხოლოდ ერთი ადამიანი აკეთებდა და ჩვეულებრივი ბორკილებისგან განსხვავებით, მათი მარტივად გახსნა წარმოუდგენელი იყო. ის ადამიანი მეორე მსოფლიო ომამდე მოკვდა და სწორედ მერე გამოიგონეს ბორკილი იმ საკეტით, რომელიც ახლაც ფართოდ არის გავრცელებული. მუზეუმში წასვლა საჭირო არ იყო, ბინიდანვე დარეკეს და ბორკილის მფლობელის სახელი და გვარი უთხრეს.

„აქ საინტერესო რამდენიმე დეტალია. პირველი ის, რომ მამაკაცი ბინაში ყოველგვარი იარაღის გარეშეა მოსული. დანა ხომ მაინც უნდა ედოს ჯიბეში? მას არ აქვს საბუთი და სიმართლე გითხრა, ამ ასაკში, საქურდავად თუ საყაჩაღოდ მარტო წასვლაც არ ჯდება ლოგიკაში. ამიტომ, მგონია, რომ აქ სხვა რაღაც ხდება, მაგრამ რა“, – ჩუმად ესაუბრებოდა გამომძიებელი კოლეგებს.

მუზეუმში ისიც გაირკვა, სად ცხოვრობდა ბორკილების მფლობელი და სამართალდამცავთა ნაწილი მისამართზე გავიდა. ოჯახის წევრები ანერვიულებული დახვდნენ – ოჯახის უფროსი გუშინ ღამით გავიდა სახლიდან და ჯერაც არ მოსულაო. ძალოვნებმა ბორკილები მოიკითხეს, დიასახლისმა უჯრა გამოაღო, აქ დევსო და... ბორკილი ადგილზე არ იყო. მოითხოვეს მამაკაცის ფოტო და როცა სურათს დახედეს, მიხვდნენ, ოჯახის უფროსი ის გარდაცვლილი კაცი იყო. მისი ბიოგრაფია იმის საფუძველს არ იძლეოდა, რომ ქურდობა ან ძარცვა შეეძლო. მეტიც, ოჯახი ძალიან წესიერი გახლდათ, მამა პროფესორი ჰყავდა, თავადაც მეცნიერული კუთხით მუშაობდა და ბიჭს სამედიცინოში სურდა ჩაბარება. დიასახლისი ამბობდა, გუშინ საღამოს, ფული უნდა მიეცათ, სამედიცინოზე მოხვედრა მარტივი არ არის, ამიტომ აგარაკი სადაც გვაქვს, უკან ტყეც ჩვენი საკუთრება იყო, ის გავყიდეთო. გამოდიოდა, რომ კაცს ფული მისცეს, შემდეგ ის ამ ფულით, რაღაცნაირად აღმოჩნდა იმ ქალის ბინაში და ინსულტით გარდაიცვალა. იქ არც ფული იყო, არც საბუთები, ცოლი კი ამტკიცებდა, გინდა თუ არა, პასპორტი მუდმივად თან დაჰქონდა და ახლაც წაიღოო.

გამომძიებელმა იმ ბინის ჩხრეკის ორდერი მოიპოვა, სადაც გარდაცვლილი იპოვეს. ეჭვი ჰქონდა, რომ დიასახლისი სახლში ფულს ინახავდა, გარდაცვლილი კი, უბრალოდ, მისი საყვარელი იყო, რომელმაც ზუსტად იცოდა, სად მიდიოდა, იცოდა, რომ ქმარი შინ არ იქნებოდა და ბორკილი... ალბათ, გასართობად წაიღო. სამართალდამცავების გასაოცრად, სახლში არც ფული აღმოჩნდა და არც – პასპორტი, რომელიც წესით, კაცს ჯიბეში უნდა ჰქონოდა. სანამ ოპერები ერთმანეთს უიმედოდ უყურებდნეენ, უფრო გამოცდილმა გამომძიებელმა ერთ-ერთ კოლეგას ჩუმად რაღაც გადაულაპარაკა და ისიც ბინიდან ტყვიასავით გავარდა. უკან, დაახლოებით, ერთ საათში დაბრუნდა და ხელში ბინის ჩხრეკის ახალი ორდერი ეჭირა, ოღონდ მეზობლის ბინის.

„თქვნ ხომ არ გადაირიეთ, ჩემს ბინაში რა გინდათ?“ – შეიცხადა ქალმა, რომლის ბინის აივნიდანაც ქმარი საკუთარ სახლში გადაძვრა, მაგრამ გამომძიებელმა გაიღიმა.

„თქვენ დიდი ხნის მეეგობრები ხართ. ჰოდა, როცა ეს კაცი მოკვდა, თქვენი დაქალი არსად დაბმული არ იყო. ერთად მოიფიქრეთ, რომ დაგებათ, მერე კი, აივნიდან თქვენს ბინაში გადაძვერით, კარი გასაღებით შიგნიდან ჩაკეტეთ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ისე იყო, როგორც ლოგინზე მიბმულმა დიასახლისმა გვითხრა. სავარაუდოდ, იმ ფულიდან, რომელიც გარდაცვლილს თან ჰქონდა, რაღაც თქვენც შეგხვდებათ“, – გამომძიებელი მშვიდად, მაგრამ მტკიცედ საუბრობდა და ატყობდა, როგორ ეცვლებოდა სახე ყოველი სიტყვის შემდეგ ქალს. ძალოვნებმა მეორე ბინაში გადაინაცვლეს და პასპორტი და ფული იქ იპოვეს. სხვა გზა არ იყო, „დაზარალებულმა“ ლამის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც გამომძიებელმა თქვა.

„ჰო, ეს კაცი ჩემი საყვარელი იყო და მართლა გულის შეტევით მოკვდა. რა უნდა მექნა? აივნიდან ხომ არ გადავაგდებდი? ვერც ქმარს დავახვედრებდი საყვარელს. ამიტომ, დაქალს შევჩივლე და ეს მოვიფიქრეთ. ჯიბეში მართლაც ჰქონდა ფული და სულ დაქალს შევპირდი, მე სხვა არაფერი მინდოდა, ოღონდ სიტუაციიდან გამოვმძვრალიყავი. სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა და ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ ასაკში ოჯახი დამენგრა“, – ტირილი დაიწყო ქალმა.

თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მხოლოდ ოჯახის დანგრევით საქმე არ შემოიფარგლა და ორივე მეზობელს სასამართლომ პირობითი სასჯელი დააკისრა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფურად ჩადენილი ნივთის დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ნივთის დაზიანების ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული გ.ხ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 4 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე, აქციის მიმდინარეობისას, თანმხლებ პირებთან ერთად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის ბალანსზე რიცხული 7 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა დააზიანა. პოლიციამ გ.ხ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით საგამოძიებო მოქმედებებს აგრძელებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

პოლიციამ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის ბრალდებით, 1997 წელს დაბადებული ვ.თ. დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციების პერიოდში, მონაწილეობდა ჯგუფურ ძალადობაში, არ ემორჩილებოდა სამართალდამცველებს და მათი მიმართულებით სხვადასხვა საგანს ისროდა.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

რუსთაველის გამზირზე, აქციების მიმდინარეობისას ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის ან მასში მონაწილეობის, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების, ასევე, აფეთქების მომზადების, პოლიციაზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე, 239-ე პრიმა, 187-ე, 353-ე პრიმა და 18-229-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აქტივისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, აქციაზე დაკავებული აქტივისტის ს.ქ.-ს პირადი ცხოვრების კადრების სოციალური ქსელით გავრცელების ფაქტზე, 46 წლის მამაკაცი დააკავა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, 2024 წლის დეკემბრის დასაწყისში, ბრალდებულმა, სოციალურ ქსელ Facebook-ის ყალბი მომხმარებლისგან, დაზარალებულის ამსახველი ინტიმური ხასიათის ვიდეო მოიპოვა და 12 დეკემბერს, მისი დამცირებისა და სახელის შებღალვის მიზნით, Facebook-ზე, ერთ-ერთ საჯარო პოსტზე, რომელსაც ათასობით ნახვა ჰქონდა, კომენტარის სახით ატვირთა და გაუვრცელა.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ინტიმური შინაარსის ვიდეოფაილის სოციალური ქსელით გავრცელებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებისთანავე, გამოძიება მყისიერად წარმართა.

ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილი იქნა ბრალდებულის ვინაობა და მისი ადგილსამყოფელი. ჩატარდა საცხოვრებელი სახლის და პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ მობილურ ტელეფონში ნანახი იქნა გავრცელებული ვიდეოჩანაწერი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ბრალდებული დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სპეციალური საგამოძიებო სამსახური აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აგრძელებს.

ბექა მინდორაშვილი, რომელსაც მეტროსადგურში, ლაშა ამირეზაშვილის მკვლელობა ედება ბრალად, ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადიოდა მკურნალობას

ადვოკატ ილია ლომიას განცხადებით, 36 წლის ბექა მინდორაშვილი, რომელსაც მეტროსადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტში“, ლაშა ამირეზაშვილის მკვლელობას ედავებიან, ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადიოდა მკურნალობას.

ადვოკატის ინფორმაციით, მინდორაშვილმა შესაბამის დაწესებულებას ჯანმრთელობის გაუარესების გამო, თავად, საკუთარი სურვილით მიმართა. ლომიას თქმით, ბრალდებულმა ფსიქიატრიული კლინიკა რამდენიმე თვის წინ დატოვა, დანიშნული მკურნალობა კი თვითნებურად შეწყვიტა.

„მომხდართან დაკავშირებით გაჩუმებულია, არც ნაცნობობას, არც მოტივს არ უთითებს, არც ბრალდების მხარესთან, არც დაცვასთან. ჩანაწერებში, რომელიც გადმოგვეცა, მანამდე, მათ შორის კონფლიქტი არ იკვეთება.

როგორც ჩემთვის ცნობილია, დაახლოებით, რამდენიმე თვეა, რაც შესაბამისი დაწესებულება დატოვა. მას მედიკამენტოზური მკურნალობა დაენიშნა. როგორც მე ვიცი, დაახლოებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ის ამ მედიკამენტებს არ იღებდა, მიზეზი მას ოჯახისთვის არ განუმარტავს, პრეპარატების მიღებაზე უარი რატომ განაცხადა.

ბოლო პერიოდში, როგორც ვიცი, სამკურნალო დაწესებულებას თავად მიმართა, ის ამ დროს მსჯავრდებული არ ყოფილა, ნებაყოფლობით მიმართა დაწესებულებას“, – აცხადებს ლომია.

სახელმწიფო ბრალდება დაკავებულ ბექა მინდორაშვილს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას დაუნიშნავს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ამირეზაშვილს ხელი ჰკრა და ლიანდაგებში ჩააგდო, რა დროსაც მას მოძრავი ელმავალი შეეჯახა.

ბექა მინდორაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით და განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს მსოფლიოსთვის რთული ჯგუფი ერგო

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ნაკრები იოლ ჯგუფში მოხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ისეთში მაინც, სადაც პირველობისთვის ბრძოლა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ბედმა მეტოქეებად რთული გუნდები გვარგუნა. ჯგუფის უპირველესი ფავორიტი ესპანეთსა და ნიდერლანდებს შორის გამარჯვებული იქნება და ეს მომავალი წლის მარტში გაირკვევა ანუ პირველი მეტოქე ესპანეთი ან ნიდერლანდები გვყავს. ჯგუფში არიან თურქეთი და ბულგარეთიც. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, პირველ ადგილზე გასული ნაკრები ავტომატურად გადის, მეორე ადგილზე გასული კი პლეი-ოფში იბრძლებს. ჰოდა, ძალიან დიდი ალბათობით, ჩვენ მეორე ადგილისთვის მოგვიწევს ბრძოლა.

უკვე გამოქვეყნდა კალენდარიც და საინტერესოა, რომ საქართველო ორი საშინაო შეხვედრით იწყებს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ორ შეხვედრაში, ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ.

4 სექტემბერი, 2025 წ. 20.00 სთ. – საქართველო-თურქეთი

7 სექტემბერი, 2025 წ. 17.00 სთ. – საქართველო-ბულგარეთი

11 ოქტომბერი, 2025 წ. 22.45 სთ. – ესპანეთი, ან ნიდერლანდები-საქართველო

14 ოქტომბერი, 2025 წ. 22.45 სთ. – თურქეთი-საქართველო

15 ნოემბერი, 2025 წ. 20.00 სთ. – საქართველო-ესპანეთი ან ნიდერლანდები

18 ნოემბერი, 2025 წ. 22.45 სთ. – ბულგარეთი-საქართველო

რაც შეეხება დანარჩენ ჯგუფებს:

A ჯგუფი

გერმანია/იტალია (გამარჯვებული), სლოვაკეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ლუქსემბურგი

B ჯგუფი

შვეიცარია, შვედეთი, სლოვენია, კოსოვო

C ჯგუფი

პორტუგალია/დანია (დამარცხებული), საბერძნეთი, შოტლანდიაა, ბელორუსი

D ჯგუფი

საფრანგეთი/ხორვატია (გამარჯვებული), უკრაინა, ისლანდია, აზერბაიჯანი

E ჯგუფი

ნიდერლანდები/ესპანეთი (გამარჯვებული), თურქეთი, საქართველო, ბულგარეთი

F ჯგუფი

პორტუგალია/დანია (გამარჯვებული), უნგრეთი, ირლანდია, სომხეთი

G ჯგუფი

ნიდერლანდები/ესპანეთი (დამარცხებული), პოლონეთი, ფინეთი, ლიეტუვა, მალტა

H ჯგუფი

ავსტრია, რუმინეთი, ბოსნია, კვიპროსი, სან მარინო

I ჯგუფი

გერმანია/იტალია (დამარცხებული), ნორვეგია, ისრაელი, ესტონეთი, მოლდოვა

J ჯგუფი

ბელგია, უელსი, ჩრდილოთ მაკედონია, ყაზახეთი, ლიხტენშტეინი

K ჯგუფი

ინგლისი, სერბეთი, ალბანეთი, ლატვია, ანდორა

L ჯგუფი

საფრანგეთი/ხორვატია (დამარცხებული), ჩეხეთი, მონტენეგრო, ფარერები, გიბრალტარი.

მამარდაშვილმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა

ესპანეთის პრიმერადივიზიონის გასულ ტურში მიღებული ტრავმის გამო, გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიას“ ვერ დაეხმარა. მის ნაცვლად, კარში სტოლე დიმიტრევსკი ჩადგა, ჩრდილოეთ მაკედონიელი მეკარე, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ ქართველ კონკურენტს სჯობნის. ჰოდა, მას ახლა შანსი ჰქონდა, არცთუ ძლიერ „ვალიადოლიდთან“ საკუთარი შესაძლებლობები დაემტკიცებინა.

მოკლედ გეტყვით, შეხვედრა „ვალიადოლიდმა“ 1:0 მოიგო, მოიგო იმის მიუხედავად, რომ ბოლო 15 წუთი – ათი კაცით ითამაშა, ხოლო დიმიტრევსკიმ თანაგუნდელთაგან ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ, მამარდაშვილი ძირითადში კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს.

„კარლსრუემ“ ზივზივაძეს ახალი კონტრაქტი შესთავაზა

მეორე ბუნდესლიგის მე-16 ტურში, ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუემ“ „რეგენსბურგს“ უმასპინძლა და დამაჯერებლად, 4:2 დაამარცხა. აღნიშნული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ქართველი ფორვარდი დასახელდა და ეს გასაკვირი არცაა. იმის მიუხედავად, რომ ბუდუმ პენალტიდან ვერ გაიტანა, თამაშიდან შეაგდო ორი გოლი და ყველაზე მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. ამ გოლების შემდეგ, მიმდინარე სეზონში გატანილი 11 ბურთით, ზივზივაძე მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას დამაჯერებლად ლიდერობს.

ცნობისთვის, მას კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მომავალი წლის ზაფხულში უმთავრდება, თუმცა „კარლსრუე“ მზად არის, ახალი ხელშეკრულება 2027 წლამდე გაუფორმოს და არსებული ჯამაგირიც გაუზარდოს. ამ ეტაპზე, ზივზივაძის წლიური ანაზღაურება 450 ათასი ევროა. როგორც გერმანული მედია წერს, 30 წლის ქართველი მზად არის, „კარლსრუეეში“ დარჩეს, რადგან ამ კლუბში ბედნიერია, მაგრამ მას ძალიან სურს ბუნდესლიგაში თამაშიც და თუ სეზონის ბოლოს, რომელიმე ბუნდესლიგური კლუბიდან შეთავაზება ექნება, შესაძლოა, ეს ნაბიჯი გადადგას კიდეც. მანამდე კი, მხარეები ახალ კონტრაქტზე მშვიდად საუბრობენ და შეთანხმებაც არ უნდა გაუჭირდეთ.

კვარაცხელია ტრავმირებულია და წელს, ალბათ, ვეღარ ითამაშებს

გარიგება შედგა – 6 მილიონი წელიწადში და 80 მილიონი გამოსასყიდი თანხა

როგორც იტალიური მედია წერს, ხვიჩა კვარაცხელიას აგენტსა და „ნაპოლის“ ხელმძღვანელობას შორის შეთანხმება შედგა და კონტრაქტი, რომელიც 2027 წლამდე მოქმედებს, 2029 წლამდე გაგრძელდება. მხარეები კომპრომისზე წავიდნენ და შეიძლება ითქვას, იდეალურ გადაწყვეტილებას მიაღწიეს.

მაშ ასე, კვარაცხელიას მხარეს წლიურ ჯამაგირად 8 მილიონი ევრო და გამოსასყიდ თანხად, 60 მილიონი ევროს ჩაწერა სურდა, „ნაპოლის“ შეფები კი 4 მილიონს იხდიდნენ და გამოსასყიდი თანხის გაზრდა 100 მილიონამდე სურდათ. საბოლოო ჯამში, ორივე მხარემ დათმო, გამოსასყიდ თანხად 80 მილიონი ჩაიწერა, ხოლო კვარაცხელია, ხელფასის სახით, 6 მილიონ ევროს მიიღებს. როგორც ამბობენ, კონტრაქტი უკვე გამზადებულია და ხელმოწერა ახალ წლამდე უნდა მოხერხდეს.

რაც შეეხება ფეხბურთელის ტრავმას. ადრეც დავწერეთ, რომ კვარას „ლაციოსთან“ მატჩში, ფეხებში დაუნდობლად ურტყეს და მსაჯს ამაზე რეაქცია არ ჰქონდა. ნამატჩევს კი გაირკვა, რომ ქართველ შემტევს ტრავმა აქვს და უდიდესი ალბათობით, ის წელს ვეღარ ითამაშებს, გუნდის ხუთ შეხვედრას გამოტოვებს და ეს ამბავი ნეაპოლელებისთვის ძალიან ცუდია. მეორე მხრივ, კარგად უნდა გამოჩნდეს, რას წარმოადგენს გუნდი კვარაცხელიასთან ერთად და მის გარეშე.

კაშიას გამარჯვების გოლი, საუკეთესო ჩაკვეტაძე და მიქაუტაძის შედევრი

ხვიჩა კვარაცხელიასა და გიორგი მამარდაშვილის ტრავმების ფონზე, საქართველოს ნაკრების სხვა ფეხბურთელებს არც თუ ურიგო უქმეები ჰქონდათ. აგერ, გურამ კაშიამ „სლოვანს“ მოაგებინა და „დუნაისკა სტრედას“ გამარჯვების გოლი გაუტანა. კაშო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მისი კლუბი კი გათამაშების ცხრილს ლიდერობს.

მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგო „უოტფორდმა“. გიორგი ჩაკვეტაძის გუნდმა „ვესტ ბრომვიჩს“ სძლია და მართალია, ჩაკვეს გოლი არ გაუტანია და არც საგოლე გადაცემა შეუსრულებია, ის შეხვედრის საუკეეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მართლაც, „უოტფორდის“ ყველა შეტევა, სწორედ ქართველის გავლით მიდიოდა და გიო გუნდის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა იყო.

„ოვიედოსთან“ უშანსოდ დამარცხდა გიორგი წიტაიშვილის „გრანადა“. გიორგიმ 64-ე წუთამდე ითამაშა, თუმცა გუნდს ვერაფრით უშველა. სამაგიეროდ, იმავე სეგუნდადივიზიონში, მორიგი გოლი გაიტანა გიორგი ქოჩორაშვილმა, თუმცა მისი „ლევანტე“ „კორდობას“ მაინც დაუზავდა. ქოჩორამ 85-ე წუთამდე ითამაშა და მასპინძლებმა გოლი სწორედ მისი გასვლის შემდეგ გაუშვეს.

„ემპოლის“ რიგებში 90-ე წუთამდე ითამაშა საბა გოგლიჩიძემ, მისი გუნდი კი „ტორინოსთან“ დამარცხდა. არადა, ეს წასაგები შეხვედრა არ იყო, მაგრამ მასპინძლებს რიგ მომენტებში აშკარად არ გაუმართლათ.

გიორგი მიქაუტაძის „ლიონი“ კი, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, პარიზში, „პსჟ“-ს სტუმრობდა. ყველასთვის მოულოდნელად, მთავარმა მწვრთნელმა ქართველი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში დააყენა და არც შემცდარა – ჟორჟმა 66-ე წუთამდე ითამაშა და მართალია, მისი გუნდი დამარცხდა, მიქაუტაძემ გოლი გაიტანა და თანაგუნდელთა შორის, საუკეთესო შეფასებაც დაიმსახურა. რაც მთავარია, მან ისეთი ტექნიკური დარტყმით აიღო ჯანლუიჯი დონარუმას კარი, რომ პარიზელთა იტალიელი კიპერი წყობილებიდან გამოვიდა და მიქაუტაძეს ხელი ჰკრა და წააქცია.

უცნაური და საინტერესო – „დინამოს“ კაკაშვილი გაწვრთნის

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო“ წელს ყველანაირი ტიტულისა და ევროთასების საგზურის გარეშე რომ დარჩა, კარგად მოგეხსენებათ. ლოგიკურიც იყო, სეზონის დასრულებისთანავე, გუნდის ავსტრიელ თავკაცს, ფერდინანდ ფელდჰოფერს კარისკენ მიუთითეს. გასაკვირი ის უფრო იყო, რომ ფელდჰოფერმა, საქართველო დატოვა და ორ დღეში, ბელგიის უმაღლესი ლიგის კლუბი – „სერკლ ბრიუგე“ ჩაიბარა.

საქართველოში ეს ამბაავი ძალიან გაიოცეს, ფელდჰოფერს როგორ ენდვნენ, კაცმა „დინამოში“ ვერაფერი გააკეთაო და... თბილისური კლუბი ლადო კაკაშვილს ჩააბარეს. ალალად გეტყვით, კაკაშვილის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მით უმეტეს, მას „დინამოს“ აკადემიაში უმუშავია, მაგრამ წელს „სამტრედიას“ წვრთნიდა და ეს კლუბი ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გავიდა, ეროვნული ლიგიდან გავარდა და... ამ გუნდის თავკაცს „დინამოს“ მწვრთნელობა ანდეს. ღმერთმა ქნას, კაკაშვილი თბილისური კლუბის არსებობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული გამხდარიყოს, მაგრამ... ეს გადაწყვეტილება მაინც ძალიან უცნაური გვგგონია!

დავითაძემ მსოფლიოზე ვერცხლი მოიპოვა

ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ საქართველოს ძალოსანთა ნაკრები, მსოფლიოს ჩემპინატზე ლაშა ტალახაძის გარეშე გაემგზავრა. ოლიმპადაზე მოპოვებული ოქროს მედლის შემდეგ, ტალახაძე აქტიურად აღარ ვარჯიშობს, პარლამენტის წევრიც გახდა და ძალიან გაუჭირდება, დიდ სპორტს დაუბრუნდეს. შესაბამისად, ბაჰრეინში გამართულ პირველობაზე, ერთი გარანტირებული ოქრო დავკარგეთ, თუმცა...

ძალიან კარგად გამოვიდა რევაზ დავითაძე, რომელმაც ატაცში მცირე ოქროს მედალი მოიპოვა, აკვრაში ცოტა გაუჭირდა და საბოლოოდ, ორივე შედეგის ჯამით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დასჯერდა. საინტერესო იყო, ვინ მოიგებდა ოქროს ტალახაძის არყოფნაში. ერთმანეთს ბაჰრეინის სახელით მოასპარეზე გორ მინასიანი და სომხეთის სახელით მოასპარეზე, ვარაზდატ ლალაიანი ეპაექრებოდნენ. საბოლოო ჯამში, ამ უკანასკნელმა იმარჯვა და ლაშა ტალახაძის არყოფნაში, ვერცხლის მედლების უზარმაზარ კოლექციას, ოქროს მედალიც დაამატა.

ორი არჩევნები, აქციები, საერთაშორისო პარტნიორების მუქარა, ფოიერვერკები და სპირიტუალური პერფორმანსები რუსთაველზე

მე-8 გვერდიდან

დაცვიდან, დამთავრებული – სურსათის უვნებლობით. ეს იყო აღებული ვალდებულებების შესრულება 40%-ით და წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერთ უწყებაში რა მასშტაბის სამუშაო ჩატარდა. ამ ეტაპზე, ვალდებულებების 50-60% გვაქვს შესრულებული და ამის 90%-მდე მიყვანაა საჭირო, რის გარეშეც ევროკავშირში ვერავინ მიგვიღებს. მოლაპარაკებების გახსნას აღარ დავაყენებთ ჩვენ, რომ ეს არ იყოს შიდა პოლიტიკაზე ზეგავლენის ბერკეტად გამოყენებული. თქვენ თუ დააყენებთ, ხელს ვაწერთ, თუ არადა, მივყვებით ვალდებულებებს და 2028 წელს, ამ ვალდებულებებს მივიყვანთ 90%-მდე, მერე ჩვენ თვითონ მოვითხოვთ მოლაპარაკებების გახსნას, რადგან მზად ვიქნებით.

ევროკავშირი გვჭირდება ეკონომიკური წინსვლისთვის, ქვეყნისა და ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თუ გვინდა კარგი ცხოვრება, მაშინ უნდა დავემონოთ, იქედან კი „წკიპურტები გვირტყან“? ყველაფერს აკეთებენ ანტიდასავლური განწყობების გასაღვივებლად და ეს აუცილებლად უნდა ვთქვა: რა არის ისეთი, რის გამოც ასეთი დამოკიდებულება აქვთ დღევანდელი ხელისუფლების მიმართ? ორიოდე დღის წინ, იორდანიაში შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები: აშშ, თურქეთი, ევროპისა და რეგიონის ქვეყნები და ბჭობდნენ, როგორ ითანამშრომლებენ სირიის ახალ ხელისუფლებასთან, რომელიც ალქაიდას „შვილობილი“ ორგანიზაცია იყო და შემდეგ შეიცვალა სახელი. ჩემთვის გასაგებია ყველაფერი, მაგრამ მხოლოდ რიტორიკულ კითხვას ვსვამ – თუ გუშინდელ ტერორისტულ ორგანიზაციასთან აპირებ, რომ დღეს, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდე, საქართველოსთან რატომ არ აგრძელებ მოლაპარაკებას?!

– ამ რიტორიკული კითხვის ფონზე, როგორ გესახებათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება?

– ამ 12 წლის განმავლობაში, უმძიმესი ეტაპები გავიარეთ. პირველი სირთულე 2014-2016 წლების ეკონომიკური კრიზისი იყო, რომელიც ბევრად მძიმე გახლდათ, ვიდრე 2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. მაშინ ბარელი ნავთობის ფასი ჩამოვიდა მინიმალურ ზღარზე – 29 აშშ დოლარზე, ამის შემდეგ იყო 2020 წლის პანდემია – უმძიმესი, როგორც ეკონომიკური აქტივობისთვის, ასევე – მოსახლეობისთვის. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არ ყოფილა რეცესია.

წელს, 11 თვის მონაცემებით, 26 მილიარდ 612 მილიონ ლარს გადააჭარბა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა, თითქმის 27 მილიარდს მიაღწია და წლის ბოლოს, 28 მილიარდს გადასცდება. საგადასახადო შემოსავლები 20 მილიარდ ლარზე მეტია; დღგ-ს შესრულება – 8 მილიარდ ნახევარი, რაც 11 თვის მონაცემებით, დაგეგმილზე 91%-ს შეადგენს; საშემოსავლო – 6.6 მილიარდია, რაც 92%-ია 11 თვის მონაცემებით; მოგების გადასახადი – 2.8 მილიარდია და 90%-ით არის შესრულებული; აქციზი – 2.2 მილიარდი; ქონების გადასახადი – 125 მილიონი ანუ 93%.

ხომ გგონიათ, რომ გრანტები შეადგენს ლამის მთელ ბიუჯეტს, და თქვენც მკითხეთ, საერთაშორისო დახმარებების შეჩერებაზე, 2024 წლის 11 თვის მონაცემებით, ეს არის 275 მილიონი ლარი, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილი 27 მილიარდ ლარამდე ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის 1%-იც კი არ არის გრანტები. ჩემთვის მტკივნეულია ემიგრანტების თემა – ჩემი დედმამიშვილებიც ემიგრანტები არიან, მაგრამ ესეც უნდა გითხრათ: ხალხს ჰგონია, რომ ემიგრანტები ავსებენ ბიუჯეტს, მაგრამ სინამდვილეში, ისინი ბიუჯეტში არ რიცხავენ თანხას, თავის ახლობლებსა და ოჯახის წევრებს ურიცხავენ. ძალიან დიდი დახმარებაა, მე კი არ ვაკნინებ ამას, ვალუტა შემოედინება, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ემიგრანტები ბიუჯეტს არ ავსებენ. სახელმწიფო ბიუჯეტს ავსებენ ადგილობრივი გადამხდელები. 260 000-ზე მეტი აქტიური მეწარმეა ქვეყანაში, 150 მსხვილი გადამხდელია რეგისტრირებული და ეს მონაცემები ყოველწლიურად იცვლება. არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულია მილიონზე მეტი ადამიანი.

– ბატონო ამირან, ბიზნესის ნაწილი გაიფიცა, ოღონდ ცოტა უცნაურად – გულშემატკივრებს მოუწოდებენ, იმ მეწარმეების პროდუქცია შეიძინონ ონლაინ, რომლებიც გაიფიცნენ და თბილისის მერიის ინიცირებულ „საახალწლო სოფელში“ ანუ საახალწლო გაყიდვებში არ მონაწილეობენ. მოკლედ, გაიფიცნენ, მაგრამ თან ერთგვარ კომპენსაციას ითხოვენ, ეს რა-ნაირი გაფიცვაა?

– „ქართული ოცნების“ პირობებში, ბიზნესის „აჯანყება“ ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ, სასაცილოც კი აღარ არის. 28 000 განცხადება იყო დაწერილი წინა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომლებიც ჩიოდნენ, რომ მათზე განხორციელდა ზეწოლა ბიზნესისა და ქონების წართმევის მიზნით. ბევრ მათგანს, სადაც შესაძლებელი იყო, დაუბრუნდა მათი ბიზნესები. დღეს გაფიცული ბიზნესმენების ერთ-ერთ სიაში „მაგთიც“ შემხვდა და როგორც მახსოვს, ჯოხთაბერიძე ნაცების დროს იჯდა ციხეში, მაგრამ მერე გაუშვეს. ჰოდა, ეტყობა, ვალშია მათთან...

რაც შეეხება გაფიცული მეწარმეების ონლაინ-გაყიდვებს, ფაქტობრივად, იგივეს აკეთებენ, რაც თემურ ჭყონიამ გააკეთა. ჯერ „ერთს პლიუს ერთი“ აქცია ჰქონდა, შემდეგ „პლედების აქცია“ ანუ დაარეკლამა, რომ ქულების სანაცვლოდ, დაგროვილი ქულები გადაეცალათ პლედებში. ჭყონიას ამ ორ აქციას „შავი პარასკევის“ აქციებს შევადარებ, რადგან რეალური გაფიცვა ჯერ ვერ ვნახე.

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, დაახლოებით, 260 000-ზე მეტი აქტიური მეწარმეა, ისე დარეგისტრირებულია მილიონამდე მეწარმე. გაიფიცა 5-10, თუნდაც 200 მეწარმე, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ყველა გაფიცულია? ასობით მსხვილი გადამხდელია საქართველოში. გაფიცვა არასწორი ნათქამია, რადგან სინამდვილეში, მეწარმეები რეკლამას იკეთებენ. როცა კომპანია ამბობს, რუსთაველზე არ გამოვალ, მაგრამ ონლაინ-გაყიდვებს შემოგთავაზებთ, ამით ხომ რეკლამას იკეთებს? ონლაინ-გაყიდვებით გაცილებით მეტი ადამიანი ისარგებლებს, ვიდრე რუსთაველზე გასვლით. ამ სიებს აფრიალებენ ტელევიზიები, ვრცელდება სოციალურ ქსელში და გაცილებით მეტი შემოსავალი ექნებათ. ამიტომ, ეს გაფიცვა, რეალურად, მცირე მეწარმეების „შავი პარასკევი“ და პიარ-აქციაა.

ევროპულ ქალაქებს ჩაძირვა ელით?

ამსტერდამი, როტერდამი და მსოფლიოს სხვა ქალაქებიც, შესაძლოა, 2025 წლისთვის წყალქვეშ აღმოჩნდნენ. ამის თაობაზე კლიმატის კვლევის ცენტრი Climate Central ავრცელებს ინფორმაციას. ცენტრის გათვლებით, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, ზღვების დონეების აწევის გამო, წყალქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს ნიდერლანდების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, დედაქალაქი ამსტერდამიც. ბელგიაში ნაწილობრივ დაიტბორება ანტვერპენი და ბრიუგე, საფრანგეთში – დიუნკერკი და კალე. პლანეტაზე წყლის დონის მატების გამო, საფრთხე შეექმნება აზიასაც. წყალქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს ტაილანდის დედაქალაქი – ბანგკოკი, ასევე, შანხაი და იანგონი. Climate Central-ის რუკის მიხედვით, წყალმა შეიძლება დაფაროს აშშ-ის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროს დიდი ნაწილი, მათ შორის, ათობით დასახლებული პუნქტი მენის შტატიდან სამხრეთით, ფლორიდამდე და ფრორიდიდან ტეხასამდე. სრული განადგურების საფრთხის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს ევერგლეიდსის ეროვნული პარკი ფლორიდაში, რომელიც იუნესკოს მემკვიდრეობის სიაშია.

სუნამო Rolling Stones-გან

პოპულარული ჯგუფის წევრები, როგორც ჩანს, სულ ოცნებობდნენ, რომ საკუთარი სუნამო ჰქონოდათ და რაღაც მიზეზის გამო იცდიდნენ, ვიდრე 80 წელი შეუსრულდებოდათ, ან (რაც ნაკლებსავარაუდოა), ცოტა უფრო მეტი ფულის შოვნა მოინდომეს. მათი განცხადებით: „RS No. 9 არის არომატი, რომელიც 1962 წლის ლონდონის სოჰოს ასოციაციას იწვევს: მფეთქავი მეგაპოლისი, როცა იბადებოდა ახალი კულტურული ერა; აღმოცენებისა და თავისუფლების დრო, როცა ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც“. თუმცა, ლონდონელები ჯგუფს ბევრ რამეში არ დაეთანხმებიან: იმდროინდელი სოჰო ყველაზე ბინძური რაიონი იყო ლონდონის ცენტრში და სინამდვილეში, ცხვირს წვავდა „ჭვარტლის, შემწვარი საკვებისა და შარდის“ მუდმივი სუნი. ამის მიუხედავად, ახალ სუნამოსთან დაკავშირებულ პრეს-რელიზში გვპირდებიან, რომ არომატის ცენტრში გამოდის ბურბონით გაჟღენთილი ხავერდის ნოტები, კანს კი ათბობს ელექტრული მუშკი. მუხის მიწიერი ელფერი კი სუნამოს იდუმალ, ინტიმურ ელფერს სძენს, რომელიც Rolling Stones-ის მიერ აუდიტორიის მოხიბვლის უნარს ასახავს.

„კოლა“ საუდის არაბეთიდან

კომპანია Thurath Al-Madina-მ, საუდის არაბეთიდან, მსოფლიოში პირველი უალკოჰოლო სასმელი წარადგინა, რომელიც რჩეული ფინიკისგან არის დამზადებული. ფინიკის პალმის ნაყოფი მდიდარია ნატურალური შაქრით, საკვები ბოჭკოებით და აუცილებელი მინერალებით. სასმელი არ შეიცავს ხელოვნურ დამატკბობლებს, სიმინდის სიროფს და ლერწმის შაქარს, რაც მას უფრო სასარგებლოს ხდის და გაზიანი სასმელების ალტერნატივად აქცევს. კომპანიის თქმით, „არაბული კოლა“ შესაბამისობაშია ყველა საერთაშორისო სტანდარტთან და ეკოლოგიურად მდგრადია, რადგან ის ადგილობრივი წარმოების ფინიკისგან მზადდება. სასმელი ერ-რიადში, ფინიკის ფესტივალზე იყო წარდგენილი და მომხმარებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

წლის გავლენიანი ქალები დაასახელეს

გაზეთმა Financial Times, 2024 წლის შედეგებით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალების სია შეადგინა. რეიტინგში მოხვდნენ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთა ხმები და სახელები წელს ყველაზე ხმამაღლა ჟღერდა და რომლებმაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები გაახმოვანეს. გავლენიანი ქალების 25-კაციანი სია სამ კატეგორიად არის დაყოფილი: „შემქმნელები“, „ლიდერები“ და „გმირები“. პირველ კატეგორიაში შემოქმედებითი პროფესიის ქალები გამოარჩიეს – მათ შორის, მომღერალი ტეილორ სვიფტი, პალესტინელი მომღერალი ალიანა, ირლანდიელი მწერალი სალი რუნი, მსახიობი ემა სტოუნი, მოდის სახლის კრეატიული დირექტორი ჩემენა ჰამანი და ნიგერიაში დაბადებული შეფმზარეული და ლონდონში რამდენიმე რესტორნის დამაარსებელი ადეხოკე ბაკარი.

„გმირების“ ნომინაციაში მოხვდენ – ალექსეი ნავალნის ქვრივი იულია ნავალნაია, ვიდეობლოგერი ღაზიდან ბისან ოვდუ, რომლის დოკუმენტურმა ფილმმაც „ემის“ ჯილდო დაიმსახურა. ასევე, სიაში არიან ფრანგი ჟიზელ პელიკო, პარიზის მერი ან იდალგო, ინდოელი მწერალი არუნდატი როი და ამერიკელი ტანმოვარჯიშე სიმონ ბაილსი, რომელიც სპორტის ამ სახეობაში ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანია.

„ლიდერის“ კატეგორიაში შევიდნენ ევროკომისარი მარგარეტ ვესტაგერი, დიდი ბრიტანეთის ხაზინის კანცლერი რეიჩელ რივზი, ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენი, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, მექსიკის ახალი პრეზიდენტი კლაუდია შეინბაუმი და ლონდონის საფონდო ბირჟის გენერალური დირექტორი და ლგბტ-აქტივისტი ჟულია ჰოგეტი.

მობილურზე უარის თქმაში ფული გადაუხადეს

ჩინელმა ქალმა, რომლის გვარია დონგი, მოიგო კონკურსი, რომელშიც საჭირო იყო, მობილური ტელეფონის გარეშე რვა საათი გაეძლო, ყოველგვარი შფოთისა და ღრმად დაძინების გარეშე. გამარჯვებულს ჯილდოდ 10 000 იუანი (1400 აშშ დოლარი) ერგო. კონკურსისთვის 10 მონაწილე 100 პრეტენდენტიდან შეარჩიეს. სავაჭრო ცენტრში, ახალ საწოლზე, მათ 8 საათი უნდა გაეტარებინათ, ყოველგვარი შფოთვის გარეშე. ყველა მათგანმა წონასწარ ჩააბარა საკუთარი მობილური ტელეფონი. მათ აკრძალული ჰქონდათ სხვა გაჯეტების, მათ შორის, პლანშეტებისა და ნოუთბუქების გამოყენება. გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში, კონკურსის ორგანიზატორებმა, ოჯახთან დასაკავშირებლად უბრალო მობილურები დაურიგეს. მონაწილეების ძილის ხარისხისა და შფოთვის დონის მონიტორინგისთვის სპეციალური სამაჯურები გამოიყენეს. მათი უმრავლესობა მთელი იმ დროის განმავლობაში წიგნს კითხულობდა, ან ისვენებდა დახუჭული თვალებით. გამარჯვებულმა დონგმა ყველაზე მეტი დრო გაატარა საწოლში, არც დაუძინია და შფოთვის ყველაზე დაბალი დონე გამოავლინა.

სად ულხინთ პენსიონერებს?

შესაბამისი ყოველწლიური კვლევა გამოაქვეყნა კომპანიამ Natixis Investment Managers. მის საფუძველზე, Global Retirement Index-მა იმ ქვეყნების რეიტინგი შეადგინა, სადაც პენსიონერებისთვის საუკეთესო ცხოვრებაა. სიაში ყველაზე მეტი ევროპული ქვეყნებია. კვლევები კი მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდისა და თავად ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩატარდა. აუცილებელი იყო ცხოვრების ისეთი პარამეტრების გაანალიზება, როგორიც არის სამედიცინო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა, პენსიის რაოდენობა, ფასები პროდუქტებზე და სხვა. 2024 წლის რეიტინგში, სულ 44 ქვეყანა შევიდა. მათგან პირველი ათეული კი ასე გამოიყურება: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ირლანდია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, ავსტრალია, გერმანია, დანია და ახალი ზელანდია.

სიმსივნეს სათვალით „დაინახავენ“

ამერიკელი სპეციალისტები, ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან, ისეთი სათვალის შექმნას აპირებენ, რომელიც ქირურგებს კიბოს გავრცელების საზღვრების სწრაფად დადგენის საშუალებას მისცემს და გააადვილებს მის მთლიანად ამოკვეთას. ამჟამად მოწყობილობის ტესტირება მიმდინარეობს. სათვალის ფორმის დისპლეი აღჭურვილია სპეციალური კამერით, რომელიც ავლენს კიბოს უჯრედებთან რეაქციაში შესულ კონტრასტულ აგენტს. აღნიშნული უჯრედების განსაზღვრა ვიდეოტექნიკის მეშვეობით ხდება. ამის შედეგად, ქირურგი პათოლოგიური პროცესის მკვეთრ საზღვრებს ხედავს და სიმსივნეს მთლიანად ამოკვეთს, რითაც, ფაქტობრივად, ნულამდე დაჰყავს მეტასტაზირების საფრთხე. ეს მოწყობილობა ნამდვილად დიდი გარღვევა იქნება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში.

პურზე წასასმელ ყავას ჰყიდიან

პოპულარული იაპონური ყავის სასმელი Snow Brand Coffee, 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სპრედის სახით გამოვიდა. ახლა მსურველებს შეუძლიათ, ჯემის ან კარაქის ნაცვლად, პურზე ან კრუასანზე ყავა წაუსვან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ახალ მდგომარეობაში მყოფი ყავა ინარჩუნებს სასმელისთვის დამახასიათებელ ყველა გემობრივ და არომატულ მახასიათებლებს. ამას გარდა, მას კარაქისა და ნაღების მსუბუქი გემოც ემატება. ყავა-სპრედის გაყიდვები ამომავალი მზის ქვეყანაში უკვე დაიწყო. 140-გრამიანი შეფუთვის ღირებულება 230 იენია (დაახლოებით, 2 დოლარი).

სტუდენტებს დიდხანს ძილი აუკრძალეს

ჩინეთში, შანხაის უნივერსიტეტის სტუდენტებს დილით ადრე ადგომისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ქცევაში ცუდი შეფასებები ექნებათ. მაგალითად, ბაკალავრები ვალდებულნი არიან, დილის 08.00 საათზე ფეხზე იყვნენ, მაგისტრანტებს კი შეუძლიათ ძილი ერთი საათით კიდევ გაიხანგრძლივონ. ახალი წესების დაცვას საერთო საცხოვრებლების მეთვალყურეები გააკონტროლებენ. ვისაც დაეძინება და 08.00 საათზე გვიან ადგება, აუცილებლად გამოიჭერენ და ყოფაქცევაში 5 ქულა, ეგრეთ წოდებული, სოციალური კრედიტი ჩამოაკლდებათ. ამ უმაღლეს სასწავლებელში, 20 ათასი ბაკალავრი და 16 ათასზე მეტი მაგისტრანტია. თითოეული მათგანი დადგენილ სოციალურ წესრიგს უნდა დაემორჩილოს. გარდა იმისა, რომ სტუდენტებს დიდხანს არ უნდა ეძინოთ, მათ ეკრძალებათ სხვის საწოლში ჩაწოლა, თუნდაც ის თავისუფალი იყოს. ამ წესის დამრღვევს 15 ქულა აკლდება. სტუდენტები დაინტერესებულნი არიან ამ ქულებით, რადგან მასზეა დამოკიდებული აკადემიური მოსწრება და სტიპენდია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სურვილი, გააკონტროლოს დისციპლინა სტუდენტებს შორის ასეთი მკაცრი მეთოდებით, სოციალურ ქსელებში გააკრიტიკეს. ეს უნივერსიტეტია, თუ ციხე? – კითხულობენ გაოგნებული ჩინელი ახალგაზრდები.

საახალწლოდ ნახევარ ნაძვის ხეებს ჰყიდიან

თუ პატარა ბინაში ცხოვრობთ, ან უბრალოდ, შეზღუდული სივრცე გაქვთ სახლში, თქვენთვის ყოველი ახალი წელი, ლამის კოშმარად იქცევა, ხოლმე – ნაძვის ხის დადგმა გამოსაჩენ ადგილას გსურთ, არადა, ის იმხელა ადგილს იკავებს, რომ მერე ოთახში გავლაც კი ძნელია. ჩანს, ეს პრობლემა საკმაოდ გავრცელებულია და ამიტომ, კომპანიამ Hammacher Schlemmer, მისი გადაწყვეტის გზა გამონახა – ეს ნახევარი ნაძვის ხეა. მისი წარმოდგენილი ხეები Against The Wall Christmas Tree (კედლის ნაძვის ხე) სიმაღლით თითქმის 2 მეტრია, იდეალურია მცირე ფართისთვის და ისეა აწყობილი, რომ მინიმალურ ადგილს იკავებს. თუმცა, რაც შეეხება ფასს, ის ნამდვილად არ არის მინიმალური – ნახევარი ნაძვის ხე მსურველს 249.95 დოლარი დაუჯდება.

საოცნებო სამსახური „ვისკის კუნძულზე“

შოტლანდიაში ვაკანსია გამოაცხადეს, რომელზეც ბევრი ადამიანი ოცნებობს: თვალწარმტაც კუნძულზე ცხოვრება, განუსაზღვრელი რაოდენობით ვისკი, ზღვის პროდუქტები და საკმაოდ დიდი თანხის – 70 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღება, ანაზღაურების სახით. ამისთვის საკმარისია, რომ მსურველი წყვილი იყოს და მზად იყოს შორეულ კუნძულ აილაზე გადასახლებისთვის. ეს ადგილი „ვისკის კუნძულის“ სახელით არის ცნობილი. სახელგანთქმულია თავისი ცნობილი დისტილერიებით, რომლებიც მსოფლიოში პოპულარულ შოტლანდიურ ვისკის ამზადებენ. რაც შეეხება სამუშაოს, წყვილმა კუნძულზე მდებარე სახლსა და ბაღს უნდა მიხედოს, ასევე, უმასპინძლოს სტუმრებს. სამაგიეროდ, ბედნიერი დასაქმებულები შეუზღუდავი რაოდენობის სასმელით, ზღვის პროდუქტებითა და ულამაზესი ხედებით ისიამოვნებენ.

ყველაზე ლამაზი სადგური დაასახელეს

ავსტრიაში, სანკტ-ვოლფგანგში მდებარე სარკინიგზო სადგურმა, რომელიც ალპური ტბებით ცნობილ ისტორიულ ზალცკამერგუტის რეგიონში მდებარეობს, იუნესკოს ვერსალის პრემია მიიღო, როგორც მსოფლიოში ყველაზე ლამაზმა სადგურმა. ის მგზავრებს იღებს ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ხაზიდან, რომელიც კურორტ სანკტ-ვოლფგანგს, შაფბერგის მთის მწვერვალთან მდებარე სადგურთან აკავშირებს. ამ სარკინიგზო ხაზმა მუშაობა 1893 წელს დაიწყო. პრესტიჟული პრემიით აღნიშნული სადგურის ახალი შენობა შარშან, 2023 წელს აშენდა. ის პანორამული ფანჯრებით გამოირჩევა, რომლებიც ახლომდებარე ტბა ვოფგანგზეს გადაჰყურებს. იუნესკოს ვერსალის პრემია 2015 წელს დაარსდა. მას არქიტრექტურასა და დიზაინში მიღწევებისთვის გადასცემენ. ჟიური აფასებს სხვადასხვა არქიტექტურულ ობიექტებს, რომლებიც რამდენიმე კატეგორიად არის დაყოფილი: სადგურები, აეროპორტები, სპორტული ნაგებობები, ოტელები და სხვა.

ციხეში კინოთეატრს გახსნიან

„მწვანე კონტინენტზე“, მელბურნში მდებარე ციხე HM Prison Pentridge, რომელიც 1851 წელს დაარსდა, საშობაოდ ზღაპრულად გარდაისახება – აქ კინოთეატრი გაიხსნება. საპატიმრო ჯერ კიდევ 1997 წელს დაიხურა. ეს ისტორიული შენობა ვიქტორიანული ეპოქის მემკვიდრეობის რეესტრის დაცვის ქვეშ არის. ახლა იქ უკვე სრულდება შენობის გარდასახვა და ისტორიული ადგილი თანამედროვე საზოგადოებრივ სივრცედ გადაიქცევა – კინოთეატრთან ერთად, სავაჭრო ცენტრიც განთავსდება. Pentridge Cinema-ს 15 დარბაზი 1100 მაყურებელს დაიტევს. ახალი კინოთეატრის გახსნა საშობაოდ არის დაგეგმილი.

ხელოვნების ნიმუშები ქსოვილის ნარჩენებისგან

31 წლის ნიგერიელი მხატვარი, ლაგოსიდან, რეგულარულად აგროვებს ქსოვილის მონარჩენებს, რომელიც ფაბრიკებსა და ატელიებში ტანსაცმლის შეკერვის შემდეგ რჩება. მერე კი მათ საკუთარ სახელოსნოში ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. მარსელინა აკპოჟოტორი ოსტატურად უხამებს ამ ნაჭრებს აკრილის საღებავებს და საბოლოოდ შესანიშნავ ტილოებს ქმნის. მშობლიური ნიგერიის გარდა, მისი შემოქმედება უცხოეთშიც უკვე ცნობილი გახდა. მხატვარმა უკვე 25 ათასი დოლარის ნამუშევრები გაყიდა, რაც ღირსეული შედეგია არტ-ბაზრის ახალი მოთამაშისთვის. გარდა მხატვრული ღირებულებებისა, მარსელინას შემოქმედება ეკოლოგიურიც არის.

რძე გაზიანი სასმელების მოყვარულებისთვის

ბევრი ადამიანი გიჟდება გაზიან სასმელებზე და კომპანია Arla-მაც – ნისლიან ალბიონზე რძის პროდუქტების ერთ-ერთმა უმსხვილესმა მწარმოებელმა – ფსონი სწორედ მათზე დადო, ვისი მიზიდულობაც ჩვეულებრივი გაზიანი სასმელებისა და შუშხუნა ღვინოების ფარგლებს სცდება. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ მომხმარებელს ვარდისფერი გაზიანი რძე წარუდგინა და იმედოვნებს, რომ პროდუქტის გაყიდვები ერთ წელიწადში გასამმაგდება. ახალი სასმელი იყიდება, როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე, სინგაპურში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და შეერთებულ შტატებში. კომპანიის ხელმძვანელთა განცხადებით, მათ ეს ნაბიჯი ძროხის რძისადმი მომხმარებლის ყურადღების მიყრობის მიზნით გადადგეს, რადგან ბოლო დროს ბევრი ადამიანი მას მცენარეული ანალოგით – ქოქოსის, ან ნუშის რძით ანაცვლებს. შუშხუნა რძე სრულიად უცხიმოა და სხვადასხვა ხილს შეიცავს, რომელიც მას ვარდისფერ შეფერილობას ანიჭებს. მწარმოებლები ვარაუდობენ, რომ გაზიანი რძე უფრო პოპულარული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გახდება, სადაც ასეთი სასმელი ჩვეულებრივი მოვლენაა.

მესი საკუთარ თავს მისთხოვდა

იტალიელმა ქალბატონმა ლაურა მესიმ საკუთარი ქორწილი ყველა ატრიბუტის დაცვით გადაიხადა, გარდა ერთისა. სადღესასწაულო ცერემონიაზე, რომელსაც 70 სტუმარი ესწრებოდა, იყო თეთრი საპატარძლო კაბაც, მეჯვარეებიც და უზარმაზარი საქორწინო ტორტიც, მაგრამ სიძე არსად ჩანდა – ლაურა საკუთარ თავზე გათხოვდა. ფიტნეს-მწვრთნელად მომუშვე მესიმ ამგვარად შეასრულა მშობლებისთვის მიცემული დანაპირები, რომ საკუთარ თავს მისთხოვდებოდა, თუკი 40 წლისთვის ცხოვრების მეგზურს ვერ იპოვიდა. არადა, ორი წლის წინ, ის საყვარელ ადამიანს დაშორდა, რომელთანაც 12 წლის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა. „ზღაპრები პრინცების გარეშეც არსებობს“, – განაცხადა პატარძალმა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს, საკმაოდ პოპულარული გახდა ტრენდი „სოლოგამია“ – საქორწინო ურთიერთობები მეუღლის გარეშე. თუმცა, ქორწინების ეს ფორმა იტალიაში არ არის დაკანონებული, ასე რომ, ქალბატონი მესი იურიდიულად კვლავაც გასათხოვარია.

ვენეციის ციფრულ ასლს შექმნიან

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და აღდგენის ორგანიზაციის – Factum Foundation-ის მკვლევარები მუშაობას იწყებენ ვენეციის სამგანზომილებიანი მოდელის შექმნაზე. ენთუზიასტებმა უამრავი ფოტო გადაიღეს ვენეციის ლაგუნას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კუნძულ სან-ჯორჯო-მაჯორეზე. ასეთი ფოტოების არქივის ზომა ერთი ტერაბაიტია. სწავლულები შიშობენ, რომ 2100 წლისთვის, წყლის დონე ვენეციაში მკვეთრად აიწევს – 30-60 სანტიმეტრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამონაბოლქვი საგრძნობლად შემცირდება, ეს კი შენობების საძირკვლის ნგრევას გამოიწვევს. ეკოლოგიურ პოლიტიკაში თუ ცვლილებები არ მოხდა, წყლის დონე 110 სანტიმეტრით მოიმატებს და ქალაქი ზღვის ყოველი მოქცევისას დაიტბორება. ერთი ასეთი წყალდიდობა ორი წლის წინ, ნოემბერში მოხდა, როცა წყლის დონემ, ბოლო 50 წელში რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს – 187 სანტიმეტრს მიაღწია და ქალაქის 85% დაიტბორა. წყალდიდობას ორი ადამიანიც ემსხვერპლა.

„ინფარქტის გენი“ აღმოაჩინეს

გერმანიის კარდიოლოგიური ცენტრის სწავლულებმა გენური ვარიაცია აღმოაჩინეს, რომელიც გულის შეტევის რისკს 15%-ით ზრდის. მათი განცხადებით, ადამიანების ნახევარზე მეტი, შესაძლოა, გენის ამ ვარიანტის მატარებელი იყოს. მკვლევარებმა 30 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ მათგან 64% გენური მუტაციის მატარებელი იყო. მათ „წებოვანი თრომბოციტები“ ჰქონდათ, რომელიც ინფარქტის რისკს ზრდიდა. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს პრეპარატების შექმნას, რომელიც თრომბოციტების „წებოვნებას“ შეამცირებს და ამით, გულის შეტევების ალბათობაც საკმაოდ შემცირდება. გერმანელი სწავლულები, ამჟამად, ტესტების შექმნაზე მუშაობენ, რომლებსაც სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენებენ, შეცვლილი გენის მატარებლების დასადგენად.

სოფლის გადასარჩენად ბარმენს ეძებენ

ესპანეთში, სოფელ ოლვეს გადასარჩენად, სადაც სულ 70 ადამიანი ცხოვრობს, ხელისუფლება ბარმენს ეძებს. ადგილობრივი პრესის ცნობით, სოფელში ჩასვლის შემთხვევაში, ბარმენს სახლს აჩუქებენ, სანაცვლოდ, მან საზოგადოებრივ ბარს უნდა უხელმძღვანელოს. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც სოფლის მოსახლეობა იკრიბება. ადგილობრივების რიცხვი თანდათან მცირდება და სოფელი ლამის გაქრობის პირასაა. ასე მიატოვეს აქაურობა ბარის ადრინდელმა მმართველებმა. თუკი ბარმენი გამოჩნდება, ის არც ამ ობიექტის ქირას გადაიხდის და არც ელექტროენერგიის ფულს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ვაკანსია დააინტერესებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც სამსახური დაკარგეს და შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

უფასო ინტერნეტი – სახელის სანაცვლოდ

შვეიცარიელმა მშობლებმა, ახალშობილ გოგონას, ინტერნეტ-პროვაიდერის პატივსაცემად, მისი სახელი დაარქვეს. ადგილობრივმა პროვაიდერმა Twifi-მ მშობლებს ასეთი გარიგება შესთავაზა: თუ ბავშვს დაარქმევენ Twifius-ს ან Twifia-ს (სქესის მიხედვით), სანაცვლოდ, 18 წლის განმავლობაში, უფასო ინტერნეტს მიიღებენ. საამისოდ, პროვაიდერის საიტზე უნდა განათავსონ ბავშვის დაბადების მოწმობის ფოტო და საკონტაქტო მონაცემები. ცოტა ხნის წინ, გამოჩნდა ასეთი პირველი წყვილი – გოგონას მათ Twifia დაარქვეს. ცოლ-ქმარი, რომელთა ასაკი 30-35 წელია, აცხადებენ, რომ ეს სახელი შვილისთვის მხოლოდ სარფიანი გარიგების გამო არ აურჩევიათ: „რაც მეტს ვფიქრობდით, ის უფრო უნიკალური და მეტად მომხიბვლელი გვეჩვენებოდა“, – აცხადებენ გოგონას მშობლები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.